რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პარასკევი, 6 ოქტომბერი 1917 წ.

ერთობა

ფასი 12 კაპ.

გაზეთის ფასი: ერთი თვით 2 მან. 60 კაპ., ორი თვით 5 მ. 20 კ., სამი თვით 7 მან. 80 კ., ოთხი თვით 10 მ. 40 კ. ცალკე ნომერი ყველგან 12 კ. საზღვარ-გარეთ ორჯერ მეტი. განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—50 კაპ., მეოთხე გვერდზე—25 კაპ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის 6 მ. საჩქარო განცხადება უნდა მოეტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 11 საათისა. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს და ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ (Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 163 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. № 163

ამხანაგებო და მოქალაქენო!

რ. ს.-დ. მ. პარტიის თფილისის კომიტეტმა უკვე დაიწყო დამფუძნებელი კრების კამპანია. დააჩქარეთ გაიღოთ თქვენი წვლილი საარჩევნო ფონდისათვის. შემოწირულობა მიიღება, როგორც თფილისის კომიტეტის ბიუროში, გოლოვინის პროსპექტი № 12, მდივანთან, აგრეთვე ყველა რაიონულ კოლექტივებში.

თფილისის კომიტეტი რ. ს.-დ. მუშათა პარტიისა.

ღრმად დამწუხრებულნი ამხანაგები: მარო პ. წიწქიძე, ნინო ყ. დარსაველიძე, ე. ნიკურაძე, ა. ფარცვანიძე, მ. ჩაჩვა და მ. ბახტაძე მწუხარებით აცნობებენ ამხანაგთ, ნაცნობთ და მეგობართ დაუვიწყარი ამხანაგის

ცუცა (მარია) სამსონის ასულის

ქუთათელაძის

უდროოთ გარდაცვალებას, გამოსვენება მოხდება დღეს, ნაშუადღევის 2 ს. არამიანცის საავადმყოფოდან (ველაბარი) და წაასვენებენ ქ. ხონში.

პური

დამატებითი პურის ბარათებით (წითელით—ფიზიკური შრომით მომუშავეთათვის) პური მიეცემა 22 ოქტომბრამდე მიმდინარე ტალონებით, თანახმად ზედვე აღნიშნულ რიცხვისა. **23 ოქტომბერს** დამატებითი ბარათებით პური მიეცემა **„23 აგვისტოს"** ტალონით, **24 ოქტომბერს „24 აგვისტოს"** და ისე შემდეგ.

დამატებითი ბარათების ტალონები (წითლები), რომელზედაც აღნიშნულია **„20 აგვისტო", „21 აგვისტო" და „22 აგვისტო" გაუქმებულია.**

ნაწილობრივ ბარათების ტალონებით (მწვანე—იმ პირთათვის, რომლებიც სადილობენ რესტორანებში, სასადილოებში და სხვ.) პური მიეცემათ **25 სექტემბერს „25 აგვისტოს"** ტალონით, **26 სექტემბერს „26 აგვისტოს"** ტალონით და ისე შემდეგ.

ნაწილობრივ ბარათების ტალონები (მწვანე), რომელზედაც აწერია **„20 აგვისტო", „21 აგვისტო", „22 აგვისტო", „23 აგვისტო" და „24 აგვისტო" გაუქმებულია.**

(5—5) **ქალაქის სასურსათო კომიტეტი.**

თფ. მოქალაქეთა საყურადღებოთ

რათა სამართლიანად განაწილებულ იქმნას მცხოვრებთა შორის პირველ საჭიროების საგნები, რომლებიც ქალაქში ბევრი არ იშოვება, განსაკუთრებული სასურსათო ბარათის გამოშვებამდე და შემოღებამდე, **შემოღებულია დროებითი სასურსათო ბარათი.**

მიცემა დროებითი სასურსათო ბარათებისა დაიწყება **ხუთშაბათს, 5 ოქტომბრიდან, საუბნო სასურსათო კომიტეტის კანცელარიებში, შემდეგ კი ქალაქის და კოოპ. დუქნებშიაც.**

შენიშვნა: ქალაქისა და კოოპერატიულ დუქნებიდან ბარათების მიცემის დრო ცალკე გამოცხადდება.

სასურსათო ბარათის მისაღებათ საჭიროა წარადგინოთ იმ საუბნო სასურსათო კომიტეტში, რომელშიდაც სცხოვრობთ, **შაქრის ბარათი.**

თუ რა სურსათი უნდა მიიღოთ სასურსათო ბარათით, აგრეთვე რაოდენობა და დრო მიღებისა გამოცხადდება ყოველთვის ცალ-ცალკე.

ვინაიდან, ხარჯები, რომლებიც გამოწვეულია სასურსათო ბარათების შემოღებით, გაცილებით მეტი გამოდგა ვინემ ეს წარმოდგენილი იყო, ფასი ბარათისა (10 კ.), რომელიც ნაჩვენებია ბარათის პირზე, გადიდებულია 25 კაპიკამდე.

3—3 **თფილისის სასურსათო კომიტეტი.**

ქართული სრულ უფლებიანი

ქალ-ვაჟთა გიმნაზია

„მასწავლებელთა კოლეგიისა".

(ყოფილი ან. ლევ. ჩერქეზიშვილისა)

მოწაფეებს მიიღებენ პირველ სამ განყოფილებაში, სადაც სწავლა იწარმოებს ქართულ ენაზე და 1, 2, 3, 4 და 5 კლ. თხოვნები მიიღება გიმნაზიის კანცელარიაში ყოველ დღე 10—1 ს.-დე. ვისაც უმაღლესი სამოქალ. სასწავლებელი გაუთავებია მიიღებიან უეგზამენოთ მე-5 კლასში.

მისამართი: ალექსეევის ქუჩა № 17, ვორონცოვის ძეგლის მახლობლათ.

სწავლა დაიწყო 27 სექტემბერს. 3—3

საჭიროა ორი გამოცდილი

მასწავლებელი

(ქალი ან კაცი) სოფ. თოკის სკოლისთვის (ახალ-ქალაქის გან.) და არტაანის თავშესაფარ-სკოლისთვის.

მისამართი: ქართ. საქველმოქმედო საზოგადოება. თფილისი, სასახლის ქუჩა № 5.

ამ წლის პირველ ოქტომბრიდან **ქ. დუშეთში**

იხსნება უმაღლესი 4 კლ. პირველ-დაწყებითი სასწავლებელი

ორივე სქესის ბავშვებისათვის. სწავლა იქნება ქართულ ენაზე.

უკვე გახსნილია თხოვნების მიღება ორივე სქესის ბავშვებისათვის.

მიმდინარე წელს იხსნება მხოლოდ 1 და 2 კლასები. თხოვნის მიღების ვადა მოწაფეებისათვის გაგრძელდება იმ დრომდე ვიდრე არ შესრულდება გადაწყვეტილი რიცხვი მოწაფეებისა.

ჩერქეზიშვილის მოედანზე, ყოფილ სადარაჯოში ნემეცების სკვერთან მოთავსებულია რ. ს.-დ. მ. პ. მეცხრე უბნის კოლექტივის

ბიურო და კიოსკი

სადაც შეიძლება პარტიის წევრად ჩაწერა, მიიღება ხელის მოწერა გაზეთებზე: „ერთობა", „ბრძოლა" და „ფიქრი" იყიდება გაზეთები და წიგნები. ბიურო ღიაა საღამოს 6—9 საათამდე

კვირას, 8 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე მესამე მომრიგებელი მოსამართლის კამერის შენობაში მოხდება

საზოგადო კრება

რ. ს. დ. მ. პ. მეცხრე უბნის ორგანიზაციის წევრთა. დღიური წესრიგი: 1) პოლიტიკური მომენტი. 2) პარტიული ყრილობის შესახებ, 3) კოლექტივის მოქმედება, 4) სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევნები და 5) მიმდინარე საქმეები. (2—1)

ზავი და საიდუმლო დიპლომატია

ახლო მომავალში ქ. პარიზში გაიხსნება მოკავშირეთა კონფერენცია. მისი მიზანია საიდუმლო ხელშეკრულობათა გადასინჯვა და ზავის საერთო პლატფორმის გამომუშავება.

მოკავშირეებმა ომი განმათავისუფლებლათ მონათლეს. თუ მათ დაუჯერებთ, ომის მიზანია წვრილ ერთა განთავისუფლება და დემოკრატიის გაძლიერება. მერე რას ვხედავთ სინამდვილეში?

უკანასკნელ დროს რამოდენიმე საიდუმლო ხელშეკრულობას ფარდა ახადეს. აქ ნათლად გამოირკვა, რომ მოკავშირენი ელტვიან ოსმალეთის დაქუცმაცებას, ავსტრიის დანაწილებას და თვით გერმანიის დაუძლურებას: უკანასკნელს მდ. რეინის მარცხენა ნაპირი უნდა წაერთვას. ეს იქნებოდა გერმანელთა მიერ დასახლებული ოლქების საფრანგეთის ხელში გადაცემა და ახალი ომისთვის ნიადაგის მომზადება. მოკავშირენი სწორედ ისე, როგორც გერმანია-ავსტრიის კოალიცია დაპყრობით პოლიტიკას აწარმოებენ და დემოკრატიის დამორჩილებას ემსახურებიან.

რუსეთის რევოლიუციამ შინაურ ცვლილებასთან ერთად დემოკრატიული საგარეო პოლიტიკის დროშა აღმართა. უანექსიო და უკონტრიბუციო ზავი იმპერიალისტთა დამარცხებას და საერთაშორისო დემოკრატიის გაძლიერებას ემსახურება. ასეთია რევოლიუციონური რუსეთის მიზანი. მაგრამ ამას ეწინააღმდეგება ყველა საიდუმლო ხელშეკრულობა, რომელიც ხელმოწერილია მეფის მთავრობისა და ინგლის საფრანგეთ-იტალია-იაპონიის მიერ.

დემოკრატია ვალდებულია ეს ხელშეკრულობანი გააბათილოს და საგარეო პოლიტიკა ახალ საფუძველზე დააგოს. ამას მოითხოვს რუსეთის რევოლიუციის ინტერესები, ამას გვიკარნახებს ხალხის არსებული მდგომარეობა.

დღეს ყველასათვის ცხადია, რომ მსოფლიო ომის გაჭიანურება აღემატება იმპერიალისტთა ძალღონეს, მათ დაანთეს საყოველთაო ცეცხლი, მაგრამ მისი ჩაქრობა ვერ შესძლეს. ეს ინტერნაციონალის საქმეა. აქ პირველ რიგში რუსეთის მუშათა კლასი დგას. ყველაზე მეტი თავისუფლებით დღეს რუსეთის დემოკრატია სარგებლობს, ამიტომაც არის მან იკისრა საგარეო პოლიტიკის ახალ საფუძველზე აგება და იმპერიალისტთა ალაგმვა. ეს შეიძლება ყველა საიდუმლო ხელშეკრულებათა გადასინჯვით და დემოკრატიული ზავის პირობათა გამომუშავებით.

ასეთ პირობებში პარიზის კონფერენციას იწვევენ.

მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს მოკავშირეთა კონფერენცია ერთი დაკვრით ახალ გზას აირჩევს და იმპერიალისტურ მიზნებს გამოეთხოვება. ინგლის-საფრანგეთი და სხვა მოკავშირენი აშკარა დაპყრობით პოლიტიკას ადიარებენ და ამიტომაც გადაჭრით ებრძვიან რუსეთის რევოლიუციას. ეს ცოტაა, თვით რუსეთის ახლანდელი მთავრობა კერენსკისა და ტერეშჩენკოს მეთაურობით ასე თუ ისე იმპერიალისტურ პოლიტიკას თანაუგრძნობენ. საიდუმლო ხელშეკრულობათა გადასინჯვის ხელის შეწყობა თვით დემოკრატიის საქმეა. რუსეთი პარიზის კონფერენციაზე სხვათა შორის დემოკრატიის ორ წარმომადგენელს გზავნის. მათი ვალია გადაჭრით მოითხოვონ ყველა იმპერიალისტურ ხელშეკრულობათა გაბათილება და ზავის დაუყოვნებლივ ჩამოგდება იმ პლატფორმის საფუძველზე, რომელიც რუსეთის დემოკრატიამ შეიმუშავა. ამ შემთხვევაში ისინი უნდა დაეყრდნონ უცხოეთის დემოკრატიას და ის აიძულონ გადაჭრით დაგმონ გაბატონებული კლასების დაპყრობითი პოლიტიკა. ეს ერთად-ერთი გზა იმპერიალისტთა ალაგმვის და ზავის მოახლოვებისა.

ომის გაგრძელება რევოლიუციას ძირს უთხრის. დემოკრატია ვალდებულია ზავის დაჩქარებით ჩამოგდებას ხელი შეუწყოს.

ნაციონალისტთა პლანები

დრ. რევოლიუციონური მთავრობის შემადგენლობაზე კამათმა პეტროგრადში დიდი შეხლა-შემოხლა გამოიწვია. კოალიცია ბურჟუაზიულ წრეებთან თუ წმინდა დემოკრატიული მთავრობის შედგენა—აი ასე იყო დასმული ეს საკითხი. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ნაციათა წარმომადგენლების ცხრა მეათედმა კოალიციის წინააღმდეგ მისცა ხმა ე. ი. დემოკრატიულ მთავრობას გამოესარჩლა.

მაგრამ ეს იყო ცენტრში, პეტროგრადში. ხოლო როცა საკითხი მიდგა ამიერ-კავკასიის მართველობის რეორგანიზაციაზე, საქმემ სულ წინააღმდეგი მიმდინარეობა მიიღო.

როგორც ვიცით, კავკასიაში მოქმედმა რევოლიუციონურმა პარტიებმა საგანგებო კომიტეტის დემოკრატიზაცია ალიარეს და შესაფერ სამზადისს შეუდგნენ. გადაწყვეტილი იყო საგანგ. კომიტეტის დღევანდელი შემადგენლობის გადაყენება და მისი სოციალისტურ და დემოკრატიულ პარტიების წარმომადგენლებისაგან შედგენა. უარყოფილ იქმნა საგ. კომ—ს ნაციონალისტური პრინციპის მიხედვით შედგენა და მიღებულ იქნა პრინციპი სოციალურ წარმომადგენლობის. არა ერის წარმომადგენელნი, არამედ დემოკრატიის—ყველა ერის დემოკრატიის, რომელთა შორის სოლიდარობას და ინტერესთა ერთობას არავითარი დაბრკოლება არ უდგია წინ.

ყველა ჯურის ნაციონალისტები ამხედრდენ ამ დადგენილების წინააღმდეგ: სომხის დაშნაკცაკანები, თათრის ბეგები, ქართველი ფედერალისტები. სიტყვით უკიდურესი დემოკრატები და სოციალისტები საქმით დემოკრატიის საფრთხეს გაურბიან. ამ საფრთხის წინაშე შეხმატკბილდენ წინათ ერთმანეთის ანტაგონისტები და დროებით მაინც მართველობის დემოკრატიზაციის საკითხი ჩვენში დაასამარეს.

რა შედეგი მოიტანა ასეთმა ბრძოლამ?

ეროვნულ პრინციპით მთავრობის შედგენა ნიშნავს ერთა ქიშპობას, დაუსრულებელ დავას „ეროვნული" გავლენისათვის ე. ი. ეროვნული ბურჟუაზიის ინტერესებისთვის. და რადგან ერთი ერი მეორეს ვერ სჯობნის კავკასიაში მათი ქიშპობა სუყველას ასუსტებს და მესამე—გარეშე ძალის საპატრონოთ ხდის.

ეს აშკარათ ალიარეს სომეხთა ნაციონალურ კონფერენციაზე საგანგებო კომიტეტის ნაკლულოვანება, მოხსენებულ ნ. ახმალიანის სიტყვით, მდგომარეობს იმაში, რომ ყველა ერები იქ თანასწორათ არ არის წარმოდგენილი, რომ იქ ქართველ თათართა წარმომადგენელნი შეთანხმებულნი არიან და ამით მომხდარა სომეხთა იზოლიაცია. ერთი სიტყვით ეროვნულ ქიშპობას გამოუწვევია უმოქმედობა, ადგილობრივ ორგანიზაციების მოუწყობლობა და სხვ.

მაგრამ აქედან დაშნაკელთა ორატორი შესაფერ დასკვნას ვერ აკეთებს. ნაცვლად დემოკრატიზაციისა, იგი ისევ ნაციონალისტური წარმომადგენლობის შეკეთებას ცდილობს. მაგრამ რადგან ნაციონალისტთა შეთანხმება და მორიგება შეუძლებელია, დაშნაკელები გარიგებას უხმობენ კავკასიის მართველობის მოსაწყობათ. საგანგებო კომიტეტი უნდა შედგეს მათი პროექტის თანახმათ 7 კაცისაგან, რომელთაგან 4 რუსი უნდა დაინიშნოს, ხოლო 3 ადგილობრივ ერების წარმომადგენლები. ე. ი. ადგილობრივ კითხვების გადაწყვეტა და საქმეების მოწესრიგება უნდა მიენდოს გარეშე მოსულ ელემენტებს, ადგილობრივ ცხოვრების და პირობების უცოდინართ. ერები აქ უმცირესობაში იქნებიან და მხოლოდ ამ მოსულთა გულის მოგებით, მათ წინაშე დამსახურებით შეეძლებათ თავის აზრის გატანა და თავის მიზნების მიღწევა.

აქ მოხდება იგივე პოლიტიკა ვორონცოვ-დაშკოვის დროის, როცა ყველა ჯურის ნაციონალისტები ამ ბიუროკრატს ეტმასნებოდნენ თავის „ერის" წინ წამოსაყენებლათ. ესაა განსახიერება პოლიტიკანობის, წვრილმან ინტრიგანობის და დაუსრულებელ შუღლის და შფოთის. ამას იქით ნაციონალისტური პოლიტიკური მოსაზრება ვერ მიდის.

ერთა მორიგება და სოლიდარობის განხორციელება ნაციონალისტებს არ შეუძლიათ. სხვის წინაშე დაჩოქება და თავის მოკატუნება კი ეხერხებათ. და აი ამაზე აშენებენ ისინი მთელ თავის სამოქმედო პროგრამას.

ჩვენ ამით არ გვინდა მხოლოდ სომხის ნაციონალისტთ შევეხოთ. არა. ყველა ერის ნაციონალისტები ამ მხრით ერთი და იმავე ბუნების არიან.

ამიტომ სანამ ნაციონალისტთა განგაშს კიდევ ძალა და გასავალი აქვს კავკასიის ერებში—რიგიანი მართველობის შედგენა გაძნელებულია. მხოლოდ დემოკრატიის გაძლიერება და მისგან მართვა-გამგეობის თავის ხელში აღება იხსნის მხარეს განუწყვეტელ ქიშპისა, უმოქმედობისა და არევ-დარევისაგან.

ჯარის დემობილიზაცია

ამიერ კავკასიის რევოლიუციონერ ცენტრების ცნობით 26 სექტემბერს დროებითმა მთავრობამ განკარგულება მოახდინა, რომლის ძალითაც პირველ ოქტომბრიდან 1895—1896 წლებში გაწვეული ჯარისკაცთა დემობილიზაცია დაიწყება. და ეს მხედრები სახლში დაბრუნდებიან. თავისთავათ აშკარაა, რომ განთავისუფლებულ ჯარისკაცთა რიცხვი საკმარისად დიდი იქნება და ეს ამოდენა ხალხი მალე ჩვეულებრივ მუშაობას შეუდგება.

მაგრამ სამუშაოს პოვნა და ჩვეულებრივ სამუშაოზე დაბრუნება არც ისე ადვილი საქმეა, როგორც ეს ზოგიერთებს ჰგონიათ. განსაკუთრებით სამუშაოს შოვნა გაუძნელდებათ ისეთ დაბრუნებულ ჯარის კაცებს, რომლებიც წინათ სამრეწველო ცენტრებში და ქალაქებში ცხოვრობდენ. ამ სამი წლის განმავლობაში მათი ადგილები ახალმა მომუშავეებმა, ქალებმა და მცირე წლოვანებმა დაიკავეს. გარდა ამისა, არა ჩვეულებრივი კრიზისის გამო მრავალი სავაჭრო-სამრეწველო დარგები შემცირდა და კაპიტალისტებმა თავ-თავიანთ წარმოების ლიკვიდაცია მოახდინეს.

ეს გარემოება კი შრომის ბაზარზე ერთგვარ არევ-დარევას გამოიწვევს და უმუშევართა რიცხვი სწრაფად გაიზრდება. დღემდის თუ ეკონომიურ ასპარეზზე მუშა ხელის ნაკლებობას სჩიოდენ, მალე მდგომარეობა შეიცვლება—შრომის მიწოდება შრომის მოთხოვნას გადაამეტებს.

აი ამ მდგომარეობას დემოკრატიულმა ცენტრებმა, დემოკრატიულმა დაწესებულებებმა—განსაკუთრებით კი, კომუნალურმა თვითმართველობამ დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს და ყოველი ზომები იხმაროს ახლათ დაბრუნებულ ჯარის კაცებს სამუშაო გამოუნახოს. ამ შემთხვევაში კომუნალურ თვითმართველობას დიდი მოვალეობა ეკისრება. იგი ერთად-ერთი ორგანოა, რომელიც მოსალოდნელ უმუშევართა კრიზისს გაანელებს და დაბრუნებულ ხალხს ნაყოფიერათ ამოქმედებს.

ჩვენ ვამბობთ დაბრუნებულ ხალხის ჩვეულებრივ შრომის პირობებში ჩაყენებას ქალაქების თვითმართველობა მოახერხებს თქო, ვინაიდან კერძო მწარმოებელთ საერთო კრიზისის წყალობით დასამუშავებელ მასალის სიმცირისა და სიძვირის გამო არ შეუძლიათ წარმოება დროის მიხედვით დააკმაყოფილონ და მოზღვავებულ უმუშევართ სამუშაო გაუჩინონ.

ამიტომ ქალაქების თვითმმართველობამ, უპირველეს ყოვლისა, უნდა დაარსოს და გააფართოვოს შრომის ბირჟის ინსტიტუტი და მისი მოქმედების ასპარეზი ფართო ტერიტორიაზე გადაიტანოს. შექმნას ქალაქების შრომის ბირჟები, დაარსოს ასეთივე ბირჟები სამაზრო ქალაქებში და მათ შორის კავშირი დაარსდეს უმუშევართა სამუშაოს მოსაძებნათ.

უკეთუ შრომის ბირჟების მიერ ზედმეტი მუშა ხელის დაკმაყოფილება არ მოხერხდა და შრომის ბაზარზე მუშა ხელი მეტი მოვიდა, მაშინ თვითმმართველობამ თვით უნდა დაიწყოს წარმოება, გახსნას წარმოების დარგები და აქ ამუშავოს უმუშევრათ დარჩენილი ახლათ დაბრუნებული ჯარისკაცები. თვითმმართველობას აქვს საშუალება ახალ წარ-

საერთაშორისო ომი

დასავლეთის ასპარეზზე კვლავ სიწყნარეა. ჩრდილო, დასავლეთისა და რუმინიის ფრონტზე მხოლოდ მოწინავე რაზმები იბრძვიან.

კავკასიის ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.

ბალტიის ზღვაზე სამხედრო ფლოტის მოქმედება გრძელდება. გერმანიის ნაღმოსნები კუნძულ მონსა და ეზელს შუა არსებულ სრუტეში გაბატონდნენ და ზევით დასახელებულ კუნძულებს შორის კავშირი შესწყვიტეს. ეზელის კუნძულზე გერმანიის ჯარი წინ მოიწევს და რუსის ჯარს უკან აწევინებს. მტრის „ცეპელინები“ ჰელსინგფორს თავს დასტრიალებს.

საფრანგეთის ფრონტზე მდ. ენის რაიონში გერმანელები საარტილერიო სროლას აცხოველებენ და იერიშებს იერიშებზე მიაქვთ, დანარჩენ ფრონტზე სიწყნარეა.

იტალია ავსტრიის ფრონტიდან კვლავ ცნობა არ მოსულა.

მოების დარგებს ხელი მოჰკიდოს და ამ წარმოებებმა მცხოვრებთა მრავალგვარი აუცილებელი მოთხოვნილებანი დააკმაყოფილოს, მაგალითად, ამ ჟამათ ქალაქის მრავალი მცხოვრებნი წარმოუდგენელ კრიზისს განიცდიან. ამ შემთხვევაში კომუნალურმა თვითმართველობამ უნდა გახსნას საკუთარი საპურხანოები, საკუთარი ხე-ტყის დასამზადებელი ქარხნები და ბინების აშენებას შეუდგეს, შექნას მთელი კადრი მუშებისა, რომლებიც ქალაქის მცხოვრებთათვის ზამთრის საჭირო შეშას და ნახშირს დაამზადებენ და მით ზევით დასახელებულ საგნების კრიზისს გაანელებდნენ. ერთი სიტყვით, ქალაქს შეუძლიან დაბრუნებული ჯარის-კაცები მრავალ სამუშაო დარგებში ჩამოქმედოს. უკანასკნელი გარემოება კი ეკონომიურ კრიზისში დიდ ცვლილებას შეიტანს და მრავალ საქონელს და მოთხოვნილების საგნებს გააიაფებს და გაამრავლებს. ჯარის დემობილიზაცია ეკონომიურ ცხოვრებაში დიდ წესრიგს შეიტანდა და საშურველია ასეთი ნაწილობრივი დემობილიზაცია ხშირათ და დროს შესაფერათ მოხდეს.

პრესა.

სომეხთა ნაციონალურ კონფერენციის გახსნას ქართულ-რუსული პრესა გამოეხმაურა, მაგრამ ამ გამოხმაურებას წმინდა ნაციონალისტური ხასიათი აქვს.

გაზ. „ვოზროჟდენიე“ საჭიროთ თვლის სომხის ხალხის მთელ რიგ დანაშაულთა ფორმულიარი ადგინოს და მათ გასწორებას მოითხოვს:

„სომხებს არ უნდა ავიწყდებოდეთ, რომ თუ ისინი ყველგან დევნილნი არიან, თუ მათ ყველგან არა სასიამოვნო დამოკიდებულება აქვთ სხვა ერებთან (თათრებთან, ბერძნებთან, ქართველებთან, ბულგარებთან, რუსებთან და სხვ.) ეს უმთავრესად იმიტომ, რომ მათ არ ქონდათ საკუთარი ტერიტორია და დევნილებული იყვენ სხვის ქვეყნებში დასახლებულ ყვნენ და იქ არსებობისათვის ბრძოლა ეწარმოებინათ. არც ერთი ცხოველმყოფელი ხალხი არ დაუთმობს სხვას ახლა თავის ტერიტორიას, და ამიტომ თუ სომხებს სურთ მეზობლური კეთილგანწყობილების აღდგენა სხვა ხალხებთან, მათ უნდა ერთხელ და სამუდამოთ განაცხადონ, რომ სხვისი მიწების დატაცებაზე ხელს აიღებენ, რომ ტერიტორიებს დასთმობენ, და სამაგიეროთ ეცდებიან თავის ისტორიულ კერის დაბრუნებას და იქ თავის სამშობლოს აღდგენას. კერძოთ ქართველთა მოთხოვნილებები სომხებმა უკვე იციან.

საქართველოს განზრახვა არა აქვს ვინმეს დაუთმოს თუნდ ერთი ნაჭერი თავის ისტორიული ტერიტორიის და მზათაა თავისი უფლებები უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაიცვას.

სომხებმა ერთხელ და სამუდამოთ უნდა აიღონ ხელი აგრესიულ პოლიტიკის წარმოებაზე საქართველოში, უარჰყონ ყოველგვარი გადამიჯვნა და ფარული დატაცება ქართული მიწა-წყლის და თავის სამშობლოს აღდგენას ეცადონ არა საქართველოს ნანგრევებზე, რომელიც ჯერ ცოცხალია და მომავალშიაც აპირებს სიცოცხლეს“.

გასაშტერებელია, ვინ მისცა ამ ვაჟბატონებს უფლება ქართველი ერის სახელით ასეთი ყოყოჩობის და საბრალმდებლო ოქმების შედგენის. ქართველ დემოკრატიას იგინი თავის უფლებების დასაცველათ და საერთაშორისო პროკურორათ არ დაუყენებია.

ასეთი ბრალდებების და მოთხოვნების წამოყენება ერთი ერისაგან მეორესადმი, მხოლოდ ერთ მიზანს ემსახურება—ერთა შუღლის და მტრობის გაძლიერებას.

სომხის ნაციონალისტები თავის კონფერენციაზე გაიძახიან—ქართველები ჩვენ წინააღმდეგ მოქმედებენო, და ჩვენი ხალხის არამკითხე დამცველი ნაციონალისტებიც თითქოს ამის დასამტკიცებლათ ისეთ ბრალდებებს აყენებენ, რომელიც ქართველ ხალხს აზრადაც არ მოსვლია.

ბ-ნო ნაციონალისტებო, დაწყნარდით! ქვეყანა თქვენი საძაგნელი არ არის, დემოკრატია თვითონ მიუძღვის თავის-თავს და შესძლებს ერთა შორის მორიგებას და სოლიდარობის განმტკიცებას. მას თქვენი აპეკუნობა არ ესაჭიროება. მით უმეტეს, არ ესაჭიროება ისეთი ლათაიები, როგორსაც რუსულ-ქართული „ვოზროჟდენიე“ ათავსებს თავის ფურცლებზე.

დეპეშები.

(პ. ტ. ს. 5 ოქტომბერი).

დრ. საბჭო რესპუბლიკისა.

პეტროგრადი. (დაგვიანებულია). დროებითი მთავრობის დადგენილება რუსეთის რესპუბლიკის საბჭოს დაარსების შესახებ: 1) დროებით, დამფუძნებელ კრების გახსნამდე დაარსებულ იქნეს დროებითი საბჭო რუსეთის რესპუბლიკის იმ საფუძველზე, რომელიც აღნიშნულია ამ დებულების დამატებაში. 2) დროებითი საბჭოს გახსნის დღეთ დანიშნულია 7 ოქტომბერი. 3) დრ. საბჭო უქმდება დამფუძნებელ კრების გახსნის წინ ერთი კვირით ადრე. 4) დრ. საბჭოს გახსნა დაევალა შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგს სალტიკოვს. 5) მიღებულია ზომები საბჭოსთვის ბინის მოსაძებნათ (აქ დეპეშაში გამოტოვებულია), ხოლო დამფ. კრების საარჩევნო სრულიად რუსეთის კომისიის თავმჯდ. ავინოვს დაევალა დანარჩენი წინასწარი ზომების მიღება. 6) საბჭოს ხარჯათ გადადებულია 475,000 მანეთი სახელმწიფო ხარჯებიდან. 7) საბჭოს თავმჯდომარის არჩევამდე ეს თანხა ავინოვის განკარგულებაში გადაეცეს.

დარბევა.

ძიევი. სტრასენიოვის შაქრის ქარხანას ბრბო შემოესია და არბევს. გრაფ კასინსკის მამულში სალდათები და გლეხები ჩეხენ ტყეს. ქ. ხმელნიკში სათადარიგო ჯარმა არაყის საწყობი დაარბია. სონიცაში ბატალიონი ართმევს მცხოვრებლებს შინაურ საქონელს და ნაწარმოებს.

ოდესა. ქალაქში გავრცელდა პროკლამაციები შავრაზმული შინაარსის, რომელნიც დასარბევათ მოუწოდებენ ხალხს. 2 ოქტომბერს წესიერება არ დარღვეულა. სადამოს ცნობა მიიღეს, რომ სახალხო-სახელმწიფოებრივი პარტიის კრებაზე დასარბევათ უწოდებენ ხალხს, კრებას ჯარი და წითელი გვარდია შემოარტყეს, და ყველა შეკრებილნი გადასწერეს, ბევრი კონტრ-რევოლიუციონური ლიტერატურა ჩამოართვეს. კრება დახურულ იქნა.

გაფიცვის შეჩერება.

ეკატერინოზავი. 2 ოქტომბერი. ბევდიში საქმის მუშების გაფიცვა, რომელიც ორი თვის განმავლობაში გრძელდებოდა დამთავრდა; მოთხოვნილებები დაკმაყოფილდა; გაზეთები გამოვიდა.

ბოლშევიკები.

ვინდავი. 3 ოქტომბერი. ადგილობრივმა ბოლშევიკებმა გადაწყვიტეს დაიკავონ ეკლესიები მიტინგებისათვის; მრევლი აღშფოთებულია; შესაძლებელია სერიოზული შეხლა-შემოხლა.

ბოლშევიკების კონფერენცია.

პეტროგრადი. 3 ოქტომბერი. შესდგა პეტროგრადის გუბერნიის ბოლშევიკების კონფერენცია. გადაწყვეტილია მოიწვიონ სიეზდები დამფუძნებელ კრების არჩევნების გამო. კანდიდატებათ პეტროგრადის გუბერნიიდან დასახელებული არიან ლენინი, კამენევი და რასკოლნიკოვი; კრონშტადტიდან—პრაპ. კრილენკო და სხვ.

ტაშკენტის ამბების გამო.

პეტროგრადი. მუშათა საბჭომ გაიგო, რომ ტაშკენტის მუშათა საბჭოს აღმ. კომიტეტში შედიან ორი ბოლშევიკი, ერთი ინტერნაციონალისტი, ორი ანარქისტი; დანარჩენები ყველა მემარცხენე ესერებია. მიღებულია რეზოლიუცია, რომ პეტროგრადის საბჭო მზათ არის მხარი დაუჭიროს ტაშკენტის მეამბოხეებს.

ებრაელთა დარბევა.

პეტროგრადი. ებრაელ მხედრობის კავშირის დეპუტაცია წარუდგა მინისტრ თავმჯდომარის მოადგილეს კონოვალოვს და სთხოვა მიეღო ზომები ებრაელთა „პოგრომების“ შესაწყვეტათ. მათ მიუთითეს ადგილობრივ თავდამცველთა რაზმის შედგენის საჭიროებაზე, რომელიც წინააღმდეგობას გაუწევს როგორც „პოგრომებს“, ისე საერთოდ კონტრ-რევოლიუციონურ გამოსვლებს. კონოვალოვმა განაცხადა, რომ ის გააცნობს კავშირის აზრს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს. შემდეგ დეპუტაცია ესტუმრა საბჭოების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს.

საერობო არჩევნები რუსეთში.

პეტროგრადი. სოფლათ საერობო არჩევნებმა კარგათ ჩაიარა და თავდება. არა სასიამოვნო ცნობები მოვიდა შემდეგი ადგილებიდან: სამარის გუბერნიაში არჩევნებში მონაწილეობა მიიღო მცხოვრებთა ერთმა მეოთხედმა, მინსკის გუბერნიის ბევრ სოფლებში თითქმის სულ არ მომხდარა არჩევნები, რადგან მას აკავშირებდენ ძველი რეჟიმის აღდგენასთან. მრავალ ადგილას დღიდაკაცები შეცვივდნენ იმ შენობებში, სადაც არჩევნები ხდებოდა და მთელი საქმის წარმოება გაანადგურეს; კრასნოიარსკშიც გულგრილობა გამოიჩინეს, მრავალ სოფელში არჩევნები არ მომხდარა. ვოლინის გუბერნიაში არჩევნები დიდის გაჭირვებით ხდებოდა; შავრაზმულ აგიტაციის გავლენით ოვრუჩსკის მაზრაში ბრბომ ჩაშალა არჩევნები, სცემა—კომისიის თავმჯდომარეს და წევრებს და ამომრჩევლები გარეკეს; ჟიტომირის მაზრაში გლეხებმა სცემეს სამაზრო ერობის გამგეობის ორი წევრს, რომელნიც მოვიდენ, რომ აეხსნათ არჩევნების მნიშვნელობა; ტრიანოვში ბრბომ დაამსხვრია საარჩევნო ყუთები, დახია საარჩევნო ბარათები და კინაღამ თვითგასამართლება მოახდინეს ორ მასწავლებელ ქალზე. ბრბო ყვიროდა: „ძირს კომისარი“, „ძირს მასწავლებლები, რომლებიც ურიებს მიეყიდენ“. 12 ვოლოსტში გლეხებმა სრულიად უარი სთქვეს ერობის შემოღებაზე; არჩეულთა რიცხვში მეტია სოფლის წურბელები, მას მისდევენ კოოპერატორები, ინტელიგენცია 8 პროც. იქნება.

ფინლიანდიაში.

ჰელსინგფორსი. 5 ოქტ. რუსეთ ფინლიანდიის კომისიის თათბირი იმ პროექტის განსახილველად, რომელიც ეხება ფინლიანდიის ახალ მმართველობის ფორმას და იმ კანონების განხილვას, რომელიც ეხება რუსეთის და ფინლიანდიის დამოკიდებულებას კარგ შთაბეჭდილებას ახდენს. თათბირის რუს წევრებმა გამოიტანეს ის შთაბეჭდილება, რომ შესაძლებელია სრული შეთანხმება იმ კითხვებზე, რომელმაც გამოიწვია რუს იურისტების აზრის შეუთანხმებლობა ფინლიანდიის მისწრაფებასთან. პროექტი გადაეცემა ფინლიანდიის სენატს შესამუშავებლათ იმ შენიშვნების მიხედვით, რომელიც შეიტანა თათბირის წევრებმა. სენატი პროექტს წარუდგენს დრ. მთავრობას, რომელიც ისევ დააბრუნებს სენატში ფინლიანდიის სეიმისთვის წარსადგენათ.

საბჭოთა ყრილობა.

პეტროგრადი. საბჭოს ცენტრალურ კომიტეტის ბიურომ დეპეშა გაუგზავნა სოფლის საბჭოებს და არმიის კომიტეტებს დეპუტატთა საბჭოების ყრილობის შესახებ. დელეგატებს აირჩევენ იმავე ნორმით, როგორც პირველ ყრილობაზე. წინადადება ეძლევათ მცირე რიცხოვან საბჭოებს მოახდინონ საოლქო კონფერენცია დელეგატის ასარჩევათ. არმია გზავნის ერთ დელეგატს 25,000 ამომრჩევლებზე. ბინა დელეგატებს მიეცემათ უფასოთ.

ომის დეპეშები.

პეტროგრადი. 4 ოქტომბერი. ჩრდილოეთ, დასავლეთ და რუმინიის ფრონტზე დროგამოშვებითი სროლაა და მოწინავე რაზმები იბრძვიან.

კავკასიის ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.

ბალტიის ზღვაზე. ბალტიის ზღვის კუნძულების რაიონებში მტრის მფრინავები ზვერავს აწარმოებენ. ჩვენმა მფრინავებმა ბრძოლა გაუმართეს და მფრინავმა საფონოვმა მტრის ერთი ჰაეროპლანი ჩამოაგდო. მოონზუნდის კუნძულს მტრის ცეპელინები თავს დასტრიალებენ. ჩვენს ნაღმოსნებს მტრის ნაღმოსნებთან შეტაკება მოუხდათ. გერმანელები კუნძულ ეზელზე წინსვლას განაგრძობენ და ჩვენს ჯარს უკან აწევინებენ. ასე, რომ კუნძულ მონსა და ეზელ შუა კავშირი შეწყვეტილია. ჩვენი ფლოტის ერთი ნაწილი კვლავ რიგის ყურეში იმყოფება.

პარიზი, 3 ოქტომბერი. მდ. ენის ფრონტზე, ხანგრძლივ საარტილერიო სროლის შემდეგ, მტერმა იერიშები მოიტანა ჩვენს პოზიციებზე და ჩვენი სანგრების პირველი წყება დაიკავეს, მაგრამ მალე კონტრ-იერიშები მივიტანეთ და მტერს დაკავებული ადგილები დავატოვებინეთ. აილეს რაიონში გერმანელებმა უშედეგო იერიშები მოიტანეს.

ახალი ამბები

კავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრის წევრთა კრება მოხდა 4 ოქტომბერს. მოხსენება გააკეთეს პეტროგრადიდან ჩამოსულმა დელეგატებმა. დიდი კამათის შემდეგ მიღებულ იქნა ნოე ჟორდანიას შემდეგი რეზოლიუცია: „კავკასიის მ., ჯ. და გ. დეპ. საბჭოთა ცენტრის წევრთა კრებამ, მოისმინა რა დემოკრატიულ თათბირის დელეგატთა მოხსენება, დაადგინა, მოიწონოს იმ დელეგატების მოქმედება, რომლებიც დემოკრატიულ თათბირზე იცავდენ თათბირზე წარმოდგენილ დემოკრატიულ ორგანიზაციათა ბლოკზე დამყარებულ დემოკრატიულ მთავრობის შექმნის საჭიროებას და ამასთანავე უარყოფდენ როგორც მართვა-გამგეობის მარტო მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოთა ხელში გადასვლას, ისე ქვეყნის ცენზიან ელემენტებთან კოალიციას“.

◆ **გაიფიცენ ხე-ტყის სახერხავ ქარხნების** მუშები. მოითხოვეს ხელფასის 100 პროც. გადიდება. მომრიგებელმა კამერამ დაადგინა 50 პროც. მიუმატოს მუშებს. მუშები ამ გადაწყვეტილებას დასთანხმდენ, უნდა შეუდგომოდენ მუშაობას, მაგრამ ერთი ქარხნის პატრონი მომრიგებელ კამერის გადაწყვეტილებას არ დაეთანხმა. ამიტომ, სოლიდარობის ნიშნათ, ყველა ქარხნის მუშები განაგრძობენ გაფიცვას.

◆ **საგუბერნიო სასურსათო კომიტეტმა** ჩრდილო კავკასიაში შეუკვეთა 485 ვაგონი სათესლე ხორბლეულობა. ჯერ-ჯერობით მიიღეს მხოლოდ 5 ვაგონი ხორბალი. სად. გომში შეიძინეს 30 ვაგონი ხორბალი, რომელთაგან 7 ვაგონი დანიშნულია სათესლეთ. კომიტეტის გადმოცემით ყანების დამუშავების საქმე კარგათ მიდის; წელს დაითესება იმდენი ყანები, რამდენიც ითესებოდა ომამდის.

◆ **ელექტრონის სადგურის პატრონებმა** მოითხოვეს ელექტრონის ფასის მომატება, წინააღმდეგ შემთხვევაში ელექტრონი მიეცემათ მხოლოდ საავადმყოფოებსა და თავდაცვაზე მომუშავე დაწესებულებებსო.

◆ **ქალაქის გამგეობამ** დაადგინა გამოსცეს ორ კვირეული ბეჭდვითი ორგანო „Извѣстія Тифлисской городской думы“. ორგანოს საერთო ხელმძღვანელობა დაეკისრება საბჭოს მდივანს, ხოლო სარედაქციო კოლეგიაში შევლენ პარტიების წარმომადგენლები. ყველა მოხსენებები და დადგენილებანი დაიბეჭდება ცალკე დამატების სახით.

◆ **ხოლერა სპარსეთში.** სპარსეთში ხოლერა გაჩნდა. ასტარაბადში 23—26 სექტ. ხოლერით ავათ გამხდარა 8 კაცი, მომკვდარა 2; შახრუდში მომკვდარა 12.

◆ **საბჭოს ს. დ. ფრაქციის** კრება შესდგება შაბათს, საღამოს 7 საათზე ქალაქის გამგეობის დარბაზში. ფრაქციის ბიურო სთხოვს ამხანაგებს უეჭველად დაესწრონ კრებას და ნურც დაიგვიანებენ.

◆ **სურსათი.** 4 და 5 ოქტომბერს თფილისში შემოიტანეს 12 ვაგონი ფქვილი, 2 ვაგონი კარტოფილი და 2 ვაგონი შეშა.

◆ **კავკასიის საადგილ-მამულო კომისიამ** აბასთუმანისა და ახალ ციხის სახელმწიფო მამულების რწმუნებულათ დანიშნა ამხ. ნოე ხომერიკი და ლეო რუხაძე.

კრებები და მიტინგები.

დღეს, საღამოს 7 საათზე, პირველ სამილიციო უბანში, მეექვსე სავაჟო გიმნაზიის შენობაში, (ვერაზე) ამხ. მელიტონ რუსია წაიკითხავს ლექციას სასურსათო საკითხზე. მოხსენებას გააკეთებს პირველი უბნის სასურსათო კომიტეტის წარმომადგენელი.

— დღეს საღამოს 6 საათზე, მეორე კოლექტივის ბინაზე შესდგება საარჩევნო ბიუროს მე-8, მე-9 და მე-10 უბნების საარჩევნო ბიუროს წევრთა კრება.

— მეორე სამილიციო ნაწილის საყურადღებოთ ვაცხადებთ, რომ საზოგადო სხდომები იმართება პარასკეობით ისევ მეორე კომერციულ სასწავლებელში.

— დღეს, საღამოს 7 ს., ლიანდაგის განყოფილებაში დანიშნულია რკ. გზის სამმართველოში მოსამსახურე სოც.-დემ. პარტიის წევრთა კრება.

— დღეს საღამოს 7 საათზე, სავაჭრო-სამეურნეო ინსპექციის კონტორაში (თათრის მოედანი) დანიშნულია კრება მე-6 რაიონის რ. ს. დ. მ. პ. კოლექტივის წევრებისა.

პროვინციის ქრონიკა.

ს. ლესა. აქ რკინის გზის ბაქანზე აუარებელი წერილები მოდის ყოველი მხრიდან უმეტესი ნაწილი კი ჯარისკაცებისაგან, საქმე მოუწესრიგებელია. ამ ბოლო დროს წერილები იკარგება, არიან აქ ისეთი პირები, რომლებსაც სხვისი წერილების კითხვა სათაკილო საქმეთ არ მიაჩნიათ. წაკითხვის შემდეგ კიდეც ხევენ. საჭიროა ადგილობრივმა ამხანაგებმა ყურადღება მიაქციონ ამ მოვლენას.

სოფ. შემოქმედი. 8 სექტემბერს მოხდა ორ-კლასიან სამინისტრო და უმაღლეს პირველ-დაწყებითი სკოლების საბჭოთა შეერთებული კრება. კრებას სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებიც დაესწრენ. ფარული კენჭის ყრით არჩეულ იქნენ მასწავლებლებათ პირ. დაწ. უმაღლეს სასწავლებელში: გრიგოლ დოლიძე, ვერა მგალობლიშვილი, ნიკო შაფაქიძე, სასწავლებლის გამგეთ—მიხ. ზარამიძე. ორ-კლასიან სკოლაში: მღვ. თომა საბაშვილი (ღვდლობას თავი დაანება) და კ. ჩხატარაიშვილი, უკანასკნელი არჩეულ იქნა გამგეთ ორ-კლასიან სკოლისა.

ს. უჯარმა. (თფილისის მაზრა). ამ სოფელში ხალხი ძალიან ჩამორჩენილია და დიდ გაჭირვებაშია ჩავარდნილი. რაც რჩეული ვაჟკაცი იყო, სულ ომში გაიწვიეს და სოფელში აღარავინ დარჩა საქმის მომწყობი. აქ არ არის კოოპერატივი, არ იშოვება პური, არ არის შაქარი, არ იშოვება ფართალი, აღარ იცის საწყალმა ხალხმა რა ქნას; ბევრი ისეთი არის ხალხში, რომ არაფერი არ მოეპოვება. ერთის დღის საკვები სურსათიც კი არ აქვს შემონახული. ამნაირ მდგომარეობაშია უმეტესად ჯარის კაცთა ოჯახები. ამ უკანასკნელათ სხვა გაჭირვებას ქურდობაც დაემატა. ამას წინეთ აქ ვიღაცებმა ცხენები მოიპარეს. ჯერ-ჯერობით ვერ აღმოაჩინეს ქურდები.

აკეთი (გურია). 17 სექტემბერს შესდგა კრება, რომელსაც დაესწრნენ: აკეთის და ჭანჭათის სამკითხველოს გამგეობის წევრები, აკეთის კომისარი და სხვა დაინტერესებული პირები.

კრებამ დაადგინა: მიეცეს ფოსტალიონს ა. თოხაძეს თვიურათ სამი თუმანი. ჭანჭათის ფოსტალიონმა ფოსტა უნდა მოიტანოს ჭანჭათის სამკითხველოში. ფოსტისთვის ფოსტალიონი მიდის ლანჩხუთში კვირაში სამჯერ. ფოსტალიონის ჯამაგირის გადახდა განაწილდა შემდეგ ნაირად: ზედა აკეთის სამკითხველო იხდის თვიურად 6 მან., აკეთის—16 მან. და ჭანჭათის 8 მან.

კრებამ აგრეთვე დაადგინა: დაარსდეს ჟურნალ-გაზეთების აგენტურა აკეთში და მის მოწყობა დაევალოს აკეთის სამკითხველოს გამგეობას.

ახალ-სოფლის საზოგად. (გორის მაზ.) ჯერ აქაურ ხალხს ნაკლებათ ესმის დღევანდელი ამბები. ენკენ. შუა რიცხვებში ს. მღებრიანში მილიციონერებმა აღმოაჩინეს ს. ხოველიდან მოპარული საქონელი. ქურდები აღმოჩნდნენ ჯარიდან გამოპარული ფიდლო გოგიჩევის და დ. თიკანაშვილოვის შვილები, რომლებიც დატყვევებულ იქნენ. საზოგადოება მოითხოვს ამ ქურდების სასტიკ დასჯას.

სოფ. ჭუჭაბი (სამტრედიის რაიონი). 1 ოქტომბერს ცეცხლი გაუჩნდა ლუკა ხვიჩიას ყოველივე მოძრავ ქონებასა და სადგომით განადგურდა. [illegible] სახლში შენახული ფული დაახლოვებით 4,000 მან. გარდა [illegible] არაფერი არ დარჩა.

ჯუმათი. კვირას, 8 ოქტომბერს დანიშნულია კრება მომრიგებელი კამერის წევრებისა ჯურუყველი-ებალიურის და ყველა ბელუხურის სადაო სკოლის შესახებ. კამერის წევრებს ალექსანდრე შარაშიძეს, კალე ჭელიძეს, სასო მელიქიშვილს და გრიგოლ კოპალეიძეს სთხოვენ შეიკრიბონ სად. ჯუმათში.

ლიხაური (გურია). ივანე ნ. გოგოლაშვილმა 500 მან. შესწირა ლიხაურის დაწყებითი უმაღლეს სასწავლებელს და ამას გარდა თავის სახელობაზე ხუთი სტიპენდიის დაარსებას შეჰპირდა.

გუდაუთი. ასეთ ჩამორჩენილ მხარეს, როგორც გუდაუთაა ძნელად შეხვდებით. აქ კულტურული დაწესებულება ცოტაა. არის სამკითხველო, მაგრამ შიგ წასაკითხი ცოტაა და თვით სამკითხველოც უმეტეს ნაწილათ დაკეტილია, კოოპერატივსაც, რასაკვირველია, სძინავს. ჩარჩების თავგასულობას საზღვარი არ აქვს, მაგრამ მათ ასალაგმავათ არავითარი ზომები არ არის მიღებული.

— ადგილობრივ აფთიაქში ქინა უკვე გამოილია. ციებ-ცხელება კი წინა წლებზე უფრო გავრცელებულია.

— ქუჩებში ისევ უსუფთაობაა. საქონლის ჭირიც არის.

გომის რაიონი (გორის მაზრა). ახალი წესდების თანახმად, რომელიც არის დამტკიცებული დროებითი მთავრობის მიერ მოხდა გომის რაიონში, როგორც ყველა საზოგადოებების, ისე რაიონული აღმას. კომიტეტების რეორგანიზაცია და კომისრების არჩევნები. იქმნენ არჩეულნი საზოგადოებების კომისრებათ: აღში—ერმ. ჩინჩალაძე; ავლევში—პეტ. ლოხიშვილი; მოხისში—გიორ. გომარელი; დირბში—ილია იმერლიშვილი და ხვისში—გ. გაგლოშვილი. მთელი გომის რაიონის კომისრათ-კი ვარლამ გოგუა. კომისრებათ, როგორც საზოგადოებების, ისე რაიონის არიან არჩეულნი საიმედო ამხანაგები და ამრჩევლების მხრივ ნდობით აღჭურვილნი; მხოლოდ ამასთან ერთად არ შეიძლება არ აღვნიშნო და არ ვუსაყვედურო მოხისის საზოგადოების კომისარს გ. გომარელს, რომლის ხელმძღვანელობით, სოფლის მუშები უკვე შეუდგნენ მიწის დაყოფას ისე, როგორც მათ მოესურვებათ, არ უწევენ ანგარიშს არც სარაიონო, არც სამაზრო კომისარებს და აღმასრულებელ კომიტეტებს, რის შედეგათ შეიძლება მოხდეს არევ-დარევა, მაგალითი უკვე იყო ამისა,—სოფ. აძვისში, ერთი კვირის წინ ჯავახიშვილმა ამ ნიადაგზე დასჭრა ხანჯლით ორი კაცი და მოკლა ერთი გვარათ კაპანაძეები.

ქუთაისის დარბევა

ქუთაისში სამხედრო წესებია გამოცხადებული. გენერალ-გუბერნატორის უფლებებით აღჭურვილია საგუბერნიო კომისარი გრ. გიორგაძე. სამხედრო ძალა პოლკოვნიკ მრაზინსკის განკარგულებაშია.

5 ოქტომბერს შუადღეზე შემდეგი ცნობა მივიღეთ: 4 ოქტომბერს დილით კვლავ გამოჩნდენ ქუჩაში ჯარისკაცები ჯგუფ ჯგუფათ, მაგრამ უწესოებას არ ახდენდენ. დილით გამგე კომისიას მიუგზავნეს კაცი და მოითხოვეს ბაღში მიტინგის გამართვის ნებართვა. რომ მდგომარეობა არ გამწვავებულიყო, კომისიამ უარი უთხრა მიტინგის გამართვაზე. საღამოზე ქუჩაში გამოვიდენ მთვრალი ჯარისკაცები. ისინი ცუდათ იხსენიებდნენ თფილისიდან ჩამოყვანილ იუნკრებს. 6 საათზე მიადგენ მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს და მოითხოვეს იუნკრების ქუთაისიდან გაყვანა. ჯარისკაცების წარმომადგენლები მიიწვიეს პარტიულ საბჭოში, მაგრამ აქაც ვერას გახდენ.

4 სექტემბერს თფ. მ. და ჯ. დეპუტატების საბჭოს სამხედრო სექციას ქუთაისიდან აცნობეს თფილისისაკენ მიდიან ფრონტზე გაგზავნილი ჯარისკაცები, რომლებიც დარბევაში იღებდენ მონაწილეობასო. საბჭომ მაშინვე გაგზავნა მატარებლის შესახვედრათ 7 წარმომადგენელი, ორი როტა ჯარისკაცები და ტყვიის მფრქვეველის რაზმი. საღამოს 4 საათზე მატარებელი შეაჩერეს თფილისის ახლოს, დიდუბეში. გაჩხრიკეს ყველა ჯარისკაცები. ზოგიერთ მათგანს აღმოაჩნდათ ქუთაისში მოტაცებული [illegible] ნივთები, ოქროულობა და სხვ. ძვირფასი საგნები. დაატყვევეს 40 ამდე ჯარისკაცი.

ფართალის განაწილება

(თფილისის გუბერნიის სასურსათო გამგეობის საყურადღებოთ).

როგორც გაზეთებში მოთავსებულ განცხადებებიდან ვიცით, ზემოაღნიშნული გამგეობა შეუდგა თფილისში არსებულ მანუფაქტურის აღწერას იმ მიზნით, რომ წესიერათ განაწილდეს ის ქალაქის და სოფლის მცხოვრებთა შორის.

ერთგვარი უსამართლობის და ამით გამოწვეულ უკმაყოფილება-არევ-დარევის თავიდან ასაცდენათ მოვალეთ ვრაცხ ჩემს თავს მოვაგონო თფ. სგ. სასურსათო გამგეობას შემდეგი.

ქალაქი თფილისი და მისი სავაჭრო დაწესებულებები დღემდე წარმოადგენდა არა მარტო თფილისის და მისი გუბერნიის საწყობს, არამედ—სანახევროთ მაინც მთელი ამიერ-კავკასიისას და ამიტომ მე ვფიქრობ, რომ

უკანასკნელი ფოსტა

ბაქოში გაფიცვა დამთავრდა.

— შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შესდგა საგანგებო საუწყებათაშორისო კომისია; კომისიის დანიშნულებაა გამოიმუშაოს ჯარების დემობილიზაციის დროს საჭირო ღონისძიებანი, როგორიცაა სასურსათო, სასანიტარო თუ სხვა. ამავე კომისიამ უნდა მოაწესრიგოს ლტოლვილთა უკანვე დაბრუნების საქმე.

— ზინგერის კამპანიის ქარხნების დახურვა რუსეთში საზარალოთ მიაჩნია მთავრობას. აზრათ აქვთ, ქარხნები იჯარით აიღონ და განაგრძონ მუშაობა.

— ყოფილ მინისტრების და ზოგიერთ „სანოვნიკების“ მოღვაწეობაში საგანგებო საგამომძიებლო კომისიამ ისეთი დანაშაულობანი აღმოაჩინა, რომელთა დასჯა არსებული კანონის არც ერთი მუხლით არ არის განსაზღვრული. გამომუშავებულ მასალას კომისია წარუდგენს დამფუძნებელ კრებას, რომელიც შესაფერ სასჯელს გამოიმუშავებს.

— წინასწარი პარლამენტის თავმჯდომარეთ კ. ჩხეიძეს ასახელებენ. პეტროგრადში ძარცვა-გლეჯა და ქურდობა გახშირდა. ვიბორგის მხარეში ორი მილიციონერი მოიტაცეს. ავტომობილით ისინი სადღაც გააქროლეს. ერთი ღამის განმავლობაში 250 სახლი გაუქურდავს ქურდებს. 70 შემთხვევა ყოფილა ტრამვაიზე ქურდობისა. ერთი დღე ღამის განმავლობაში მოპარული ნივთების ღირებულება ერთ მილიონ ნახევარ მანეთამდე აღწევს.

— დამფუძნებელი კრების არჩევნებში ყაზახები მოითხოვენ ჯარისკაცებისაგან გამოყოფას. ამასთანავე მოითხოვენ, რომ ყაზახებს არ გზავნიდნენ ამის შემდეგ სხვადასხვა არეულობათა ჩასაქრობათ. დეპუტატთა საბჭოების ცენტრალურმა კომიტეტმა საგანგებო კომისიას მიანდო ზომების გამომუშავება „პოგრომების“ წინაამდეგ. უკიდურეს შემთხვევაში საბჭოები შეიარაღებული ძალებით იმოქმედებენ.

მანუფაქტურის განაწილების დროს მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მთელი მხარე და არა მარტო გუბერნია.

მიპასუხებენ—თითოეულ გუბერნიას თავისი სასურსათო კომიტეტი ჰყავსო. ეს მართალია, მაგრამ ისიც მართალია, რომ ამ კომიტეტებს ჯერ ვერ გაუშლიათ ფრთები და რაიმე საგრძნობ შედეგებს მათი მოქმედებიდან ამ დროებით ჩვენ არ უნდა მოველოდეთ. ამ აზრს იმით ვამტკიცებ, რომ ჩემს შეკითხვაზე ერთ-ერთ საგუბერნიო სასურსათო კომიტეტში მიპასუხეს, რომ ისინი **ორასს ათასს მანეთის მანუფაქტურას** მიიღებენ. მე კი ვფიქრობ, რომ გუბერნიის დასაკმაყოფილებლათ ამ სეზონში საჭიროა 20—30 ჯერ მეტი. ამიტომ, ვიდრე მთელი რუსეთის სასურსათო ცენტრიდან საქმე ისე მოეწყობოდეს, რომ თითოეული გუბერნია პირდაპირ მიიღებდეს თავის წილს მანუფაქტურას, მე მგონია ტფილისის საგ. კომიტეტმა არ უნდა ისარგებლოს თავისი მდგომარეობით და არ უნდა მოახდინოს „ზახვატი“—მოტაცება ტფილისში არსებულ მანუფაქტურის იმ ნაწილის, რომელსაც ჩვეულებრივ პირობებში პროვინცია მიიღებდა და ამით კიდევ უფრო არ გაამწვავოს საფართლო კრიზისი პროვინციაში.

ლ. დავითაია.

საარჩევნო სამზადისი

(ალ. ლომთათიძის მოხსენება)

ს.-დ. საოლქო ყრილობაზე ამხ. ალ. ლომთათიძემ დამფუძნებელ კრების არჩევნების შესახებ შემდეგი მოხსენება გააკეთა:

ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტმა მთავრობის განკარგულებამდე შექმნა ამიერ კავკასიაში ცენტრალური კომიტეტი დამფუძნებელი კრების არჩევნების მოსაწყობათ. მანვე შეიმუშავა ინსტრუქცია, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ ყველა დაწესებულებებმა, რომლებიც მუშაობენ არჩევნების მოსაწყობათ. კომისიას ჰყავს სამი თანასწორ-უფლებიანი თავმჯდომარე,—ერთი სოც.-დემ. წარმომადგენელი, მეორე ტფილისის ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტის, და მესამე—მუსულმანთა წარმომადგენელი. კომისიის შემადგენლობაში შედიან პარტიებისა და მ. და ჯ. დეპ. საბჭოს წარმომადგენლები. კომისია უკვე შეუდგა მუშაობას; დაამზადეს საჭირო ბლანკები და დაუგზავნა შესაფერ ორგანიზაციებს. ამასთანავე განზრახული იქნა ინსტრუქტორთა მომზადება არჩევნების ტეხნიკური მხარის მოსაწყობათ. ინსტრუქტორების როლი მეტათ სერიოზულია, მაგრამ ბევრი მათგანი ვერ აღმოჩნდა თავის ღირსების სიმაღლეზე და მოითხოვეს სამსახურიდან განთავისუფლება. ერთის მხრით დამფუძნებელი კრების მოწვევის ვადის გადადებამ და მეორეს მხრით კორნილოვის გამოსვლამ ბევრს იმედი დაუკარგა დამფუძნებელი კრების მოწვევისა და ხელი აიღეს მუშაობაზე გარდა ტფილისის გუბერნიისა. ჩვენ გვქონდა აგრეთვე მხედველობაში მიღებული ისიც, რომ აღმოსავლეთ ამიერ კავკასიაში მომუშავე ინსტრუქტორებს უნდა სცოდნოდათ თათრული ენაც. დღემდის კი დავეძებთ ასეთ ინსტრუქტორებს, მაგრამ ვერსად ვერ ვიპოვეთ, ვერ ვიშოვეთ აგრეთვე სოხუმშიც. ცენტრალური კომისია ხელმძღვანელობს არჩევნებს მთელს ამიერ კავკასიაში, მაგრამ არის კიდევ საგუბერნიო, საოლქო, სამაზრო, სარაიონო და სასოფლო კომისიები. საგუბერნიო კომისიები თავიდანვე შეუდგნენ მუშაობას, მაგრამ ზოგიერთ ადგილებში სულ რამდენიმე დღის უკან დასრულდა მათი მოწყობა სხვადასხვა მიზეზების გამო. შემდეგ მომხსენებელი აღნიშნავს, თუ რა მდგომარეობაშია დღეს მუშაობა. ამ მხრით აღმოსავლეთი ნაწილი ამიერ კავკასიისა უარეს მდგომარეობაშია. ბაქოში ჯერ საქალაქო არჩევნები არ მომხდარა, ბაქოს გუბერნიაში კი—სულ რამდენიმე დღის უკან დაიწყო აღწერა; ასეა საქმე ერევნის გუბერნიაშიც. აქ, სხვათა შორის, ინტელიგენტურ ძალთა ნაკლებობის გამო აღძრეს შუამდგომლობა სასწავლებლებიდან უფროსი კლასების მოწაფეთა დროებით განთავისუფლების შესახებ. ყარსში შედარებით კარგათ მიდის საქმე, ამ 2—3 დღეში დამთავრდება აღწერა. ტფილისის გუბერნიაში და ზაქათალის ოლქშიაც ამ დღეებში დასრულდება აღწერა. სუხუმის ოლქში მზათ იყო სიები და მხოლოდ მათი შემოწმება იყო საჭირო. ბათუმის ოლქშიც სწარმოებდა მუშაობა და ამ დღეებში დამთავრდება. დიდი იმედი გვქონდა ჩვენ ქუთაისის გუბერნიის, მაგრამ იქ მხოლოდ ახლა დაიწყო მუშაობა. ამაში კი მხოლოდ საგუბერნიო კომისიაა სავსებით დამნაშავე, რომლის წევრებმა დიდი დაუდევრობა გამოიჩინეს. ერთი სიტყვით, 20 ოქტომბრისათვის ყოველგან დასრულდება მუშაობა, ვინაიდან ჩვენი ცენტრალური კომისია დაარსდა დრ. მთავრობის განკარგულებამდე, რომ თავიდან აგვეშორებოთ ყოველივე საბაბი არჩევნების გასაჩივრებისა, ჩვენ კომისიაში დაუშვით კოოპტაციით სასამართლოს წარმომადგენლებიც, როგორც ამას მოითხოვს მთავრობის მიერ გამოცემული წესები. შემდეგ მომხსენებელი აღნიშნავს, რომ პარტიული ორგანიზაციები ჯერ-ჯერობით ვერ იჩენენ საჭირო უნარს საარჩევნო მუშაობაში და საჭიროა კია ამ მუშაობას უხელმძღვანელოთ. უნდა შევეცადოთ, რომ სიების გარეშე არავინ დარჩესო და სხ.

—

ხად. ჯუმათი (გურია). 26 სექტემბერს საღამოს 7 საათზე ადგილობრივ სკოლის დარბაზში ლექცია წაიკითხა ამხ. გრ. კოპლატაძემ და ვარ. კალანდარიშვილმა. პირველმა აგრარულ საკითხზე, მეორემ დამფუძნებელი კრების შესახებ. დამსწრე საზოგადოება ლექციებით კმაყოფილი დარჩა. დამფუძნებელი კრების ფონდისთვის დამსწრეთა შორის შეგროვდა 60 მ. 50 კ.

--

7 ოქტომბერს დანიშნულია ქ. ოზურგეთში ოზურგეთის რაიონის დამფუძნებელი კრების საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეთა კრება. უნდა გამოცხადდენ შემდეგი საზოგადოებიდან: ბახვის, დვაბზუს, შემოქმედის, ლიხაურის გურიანთის, ხვარბეთის და მიქელგაბრიელის. ვსთხოვთ თავმჯდომარეებს მოიწვიონ ამ კრებაზე ყველა ის პირები, რომლებსაც ავალებენ მათი საზოგადოების აღწერას.

სამაზრო კომისიის წევრი გ. ბ. ღლონტი.

—

დღეს, 5 ოქტომბერს საღამოს 7 საათზე დანიშნულია მეორე სამილიციო უბანში მცხოვრებ ს. დ. პარტიის წევრთა საზოგადო კრება. დღის წეს-რიგი: დამფუძნებელი კრება და საარჩევნო კომისიის არჩევა, მიმდინარე მომენტი. კრება შესდგება კოლექტივის ბინაზე—ჭავჭავაძის ქ. № 9.

—

საოლქო კომიტეტის კასაში შემოვიდა დამფუძნებელ კრების ფონდის გასაძლიერებლათ აფხაზავასაგან—200 მან., განჯის სადგურის რ. ს.-დ. მ. პ. ორგანიზაციისაგან 400 მან. ალექსანდროპოლის კომიტეტისაგან—610 მ. 40 კ. სუფსის ორგანიზაციისაგან—100 მან. ჩოჩხათის ორგანიზაციისაგან—200 მან.

—

ბათუმი. ბათუმის რკ. გზ. დეპოს მუშები უკვე შეუდგნენ საარჩევნო სამზადისს. აირჩიეს 3 კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელმაც უნდა უხელმძღვანელოს არჩევნების საქმეს, ადევნოს თვალყური არავინ დარჩეს სიების გარეშე, ხელი შეუწყოს საარჩევნო ფონდის გაძლიერებას და სხ. უკვე მოაგროვეს ერთი დღის შემოსავალი 1013 მან. და გადასცეს ადგილობრივ კომიტეტს საარჩევნო ფონდის სასარგებლოთ. გაზეთების გავრცელება თვითონ მუშებმა აიღეს ხელში.

—

დამფუძნებელ კრების საარჩევნო ფონდის გასაძლიერებლათ საოლქო კომიტეტმა მიიღო გიორგი დულარიძისაგან 2 მან.

—

შაბათს, 7 ოქტომბერს საღამოს 5 საათზე ტფილისის ს. დ. კომიტეტის სადგომში (გოლოვინის პროსპექტი № 12) დანიშნულია რ. ს. დ. მ. პ. ცენტრალური, დამფუძნებელი კრების საარჩევნო კომიტეტის სხდომა. კომიტეტის პრეზიდიუმი დაბეჯითებით სთხოვს ქალაქის ყველა რაიონებს გამოგზავნონ თითო წარმომადგენელი რაიონიდან და თითო წარმომადგენელიც სამილიციო ნაწილიდან, რომელიც რაიონში შედის.

ტყვე—არწივი *)

(ძღვნათ კაკის).

გაგლიჯს, გაგლიჯს გალიასა, ის არწივი დღეს რომ ტყვეთ ზის,
სადაც სხივი მოციმციმე ვეღარ ატანს ბრწყინვალე მზის,
გაგლიჯს, მძლავრათ გაშლის კვლავ ფრთებს,
მოევლება სამშობლო მთებს,
დაუკოცნის ხუჭუჭა თმებს!

—

თავისუფლათ მონავარდე მოუწოდებს მისებრ გმირებს,
მტერს შეუტევს, მთელ ქვეყანას მოხიბლავს და გააკვირებს.
არ მოიხრის მონურათ ქედს,
თავს შესწირავს ჩაგრულთა ბედს,
ან მოკვდება, ან გამოსჭედს!

—

განა დღესაც მისთვის არ ზის გალიაში ფრთებ შეკრული?
დღესაც მაზედ არ ოცნებობს? იმისთვის არ უწუხს გული?
ის არ არის მისი ღმერთი
სალოცავი ერთად ერთი
ამ სოფელთან შემაერთი?
გაგლიჯს, გაგლიჯს გალიასა, ის არწივი დღეს რომ ტყვეთ ზის,
სადაც სხივი მოციმციმე ვეღარ ატანს ბრწყინვალე მზის;
გაგლიჯს, მძლავრათ გაშლის კვლავ ფრთებს,
მოევლება სამშობლო მთებს,
დაუკოცნის ხუჭუჭა თმებს!

გ. რუხაძე.

საქართველოს არწივი

(კაკი წერეთელს)

საქართველოს არწივმა დაამსხვრია გალია,
ფრთა ფრთას ჰკრა და გაფრინდა, თავს მოევლო ამაყ მთებს,
ცხოველ მყოფელ მზეს მიწვდა, იქ ნექტარი დალია,
გამარჯვება ღიადი მიულოცა მაშვრალ ძმებს;
და ჩამოჯდა იქ, სადაც ქუხდა ბრძოლის ყიჟინი,
ბორკილი იმსხვრეოდა, ძირს სცვივოდა რგოლები,
წითელ დროშებს გაჰქონდათ სამჯერათ ბიბინი,
თავისუფლათ მღეროდენ გუშინდელი მონები
და იმანაც ხმა მისცა, ცეცხლი ცეცხლზე დაჰკვესა,
ბევრი გული აანთო უშიშარი სიმღერით,
მოყვარე გაახარა, მტრის სული კი აკვნესა
და მოხიბლა მსოფლიო უჩვეულო სიმთ-ჟღერით.
დღეს კი აქეთ მოჰფრინავს შარავანდედ მოსხმული
და მეც მსურს მივეგებო და შევძახო გზნებითა:
მრავალ გზით ჭირნახულო! შენ გმირი ხარ მორჭმული!
და ღირსი ხარ გამკობდეს ერი ქებათ-ქებითა!

გ. რუხაძე.

ომი და ზავი

გერმანიის ს.-დემოკრატიული პარტია ომის დროს. „ჰუმანიტე“ იტყობინება შვეიცარიიდან, რომ გერმანიის ძველი ს.-დემოკრატიული პარტიის გამწესრიგებელმა კომიტეტმა ომის განმავლობაში პირველათ გამოაქვეყნა დაწვრილებითი მოხსენება პარტიის მოღვაწეობის შესახებ. როგორც ამ მოხსენებიდან სჩანს, ომის დროს პარტიის წევრთა რიცხვი ძლიერ შემცირებულა. ომის დაწყებისას, მაგალითად, პარტიას ჩამოეცალა თავის წევრთა ნახევარი რიცხვი, რომლებიც სამხედრო სამსახურში გაიწვიეს, ეხლა კი სამხედრო სამსახურში გაწვეულთა რიცხვი უდრის 75 პროც., ხოლო თუ ამას მიუმატებთ იმ წევრთა რიცხვს, რომლებმაც თავის ნებით დასტოვეს პარტია გამოვა, რომ მისი რიცხვი შემცირებულა 80 პროც.-ით. მიუხედავათ ამისა, ნათქვამია მოხსენებაში, რომ ძველი ს. დემოკრატიული პარტია ერთი ძლიერ ორგანიზაციათაგანია გერმანიაში. მოხსენების სიტყვით ს.-დემოკრატიულ პრესას საკმაო მკითხველი აღარა ჰყავს. მაგ. „ფორვერტსი“-ს დღიური ტირაჟი ძლიერ დაეცა. ასეთივე ცუდ მდგომარეობაშია პარტიის ფინანსიური მხარეც. დასასრულ მოხსენებაში ნათქვამია, რომ ვურცბურგში ოქტომბერში ნაციონალურ კონგრესის მოწვევა აუცილებლათ საჭიროა.

ბრძოლა ზავისთვის ამერიკაში. ბოსტონში შეტაკება მოხდა საყოველთაო სამხედრო ბეგრის მოწინააღმდეგეთა და ჯარისკაცებს და მატროსებს შორის. უკანასკნელებმა დაშალეს ზავის მომხრეთა მიტინგი. ერთ სოციალისტურ გაზეთის რედაქცია გაანადგურეს. საყოველთაო სამხედრო ბეგრის მოწინააღმდეგეებს ძალას ატანენ ამერიკის ნაციონალურ დროშაზე ეკოცნათ, ბევრი დაიჭრა და დასახიჩრდა ზავის მომხრე დემონსტრანტებს ჯარისკაცები და მეზღვაურნი თავს დაესხნენ და გაფანტეს, დაუხიეს ბაირაღები და წითელი დროშები, სოციალისტურ მთავარ ბინიდან მთელი სახლის ავეჯეულობა ქუჩაში გამოყარეს და დასწვეს, როგორც ამას შვრებიან ინდოელები სამხედრო გამარჯვების შემდეგ. პოლიციელებმა ბევრი დააპატიმრეს ხალხისგან, მხოლოდ არც ერთი ჯარისკაცი და მეზღვაური, რომლებმაც უმთავრესათ მოახდინეს უწესოება.

სააღგილ-მამულო კომიტეტები

საგუბერნიო სააღგილ-მამულო კომიტეტის უფლებაში შედის: 1) გუბერნიაში სახელმწიფო მიწების თვალ-ყურის გდება, 2) რომ განადგურებულ არ იქნეს ტყეები და სხვ. 3) მიწების ძირითად რეფორმებისთვის საჭირო მასალების შეგროვება, რომლებიც შეეხებიან ადგილობრივ მიწის მფლობელობის ხასიათს, თანახმათ მთავარ სააღგილ-მამულო და ამიერ-კავკასიის კომიტეტის პროგრამისა, 4) არსებულ კანონების და მთავრობის დადგენილების ფარგლებში სავალდებულო დადგენილების შედგენა მიწების იჯარის, სოფლის მეურნეობაში სამუშაოთ დაქირავების და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც შეეხებიან გუბერნიაში სოფლის მეურნეობის და მიწების შესახებ დამოკიდებულებას და ამ დადგენილების ამიერ-კავკასიის სააღგილ მამულო კომიტეტისთვის დასამტკიცებლად წარდგენა, 5) საჭიროების დროს საგუბერნიო მომრიგებელ კამერების დაარსება მიწების შესახებ სადაო კითხვების გასარჩევათ და ყველა სამაზრო მომრიგებელ კამერების შეთანხმებული და მწყობრი მოქმედების მოწყობა, 6) სამაზრო სააღგილ-მამულო კომიტეტების თვალყურის გდება.

სამაზრო სააღგილ-მამულო კომიტეტების უფლებაში შედის: 1) თვალყურის გდება, რომ განადგურებულ არ იქნას მიწის ბუნებრივი სიმდიდრე, ტყე, მადნები და სხვა, 2) მიწის ძირითად რეფორმებისთვის საჭირო მასალების შეკრება მაზრაში მიწის მფლობელობის ხასიათის და დამოკიდებულების შესახებ თანახმათ მთავარ და ამიერ-კავკასიის სააღგილ-მამულო კომიტეტების პროგრამისა და ამ მასალების დამუშავება, 3) სამაზრო სააღგილ-მამულო მომრიგებელ კამერების დაარსება მიწების შესახებ სადაო კითხვების გასარჩევათ, 4) ამიერ კავკასიის და საგუბერნიო სააღგილ-მამულო კომიტეტების დავალებების სისრულეში მოყვანა.

საუბნო სააღგილ-მამულო კომიტეტების უფლებაში შედის: 1) მიწების ძირითად რეფორმებისთვის საჭირო მასალების შეგროვება უბანში, ამიერ-კავკასიის სააღგილ-მამულო კომიტეტის ინსტრუქციის თანახმათ, 2) ამიერ-კავკასიის და გუბერნიის სააღგილ-მამულო კომიტეტების დავალების შესრულება უბნის საზღვრებში, 3) საუბნო მომრიგებელი კამერის დაარსება.

სკოლის ნაციონალიზაციის გარშემო

ეროვნულ საგნების (სამშობლო ენის, ლიტერატურის, ისტორიის და გეოგრაფიის) მასწავლებელთა კავშირთან, რომელშიაც შედიან ქართველი, სომეხი, თურქი და სხვა ეროვნებათა მასწავლებლები, 24 სექტემბერს დაარსდა სარეკომენდაციო ბიურო აღნიშნულ საგნებში მასწავლებელთა შეფასება-რეკომენდაციისათვის. მსურველთ უნდა მიმართონ კავშირის გამგეობას, ოლღას ქუჩა, № 22, ბინა ლ. ა. ყორღანოვისა.

ეროვნულ საგნების მასწავლებელთა კავშირმა სექტ. 24 სხდომაზე დაადგინა: შუამდგომლობა აღძრას ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტის წინაშე რათა საზოგადო განათლების სკოლების ნაციონალიზაციის კანონი გავრცელდეს სპეციალურ სასწავლებლებზედაც: კომერციულსა, ტეხნიკურსა, სახელოსნოსა, სამიწათმოქმედოსა და სხვ... ეს სასწავლებლები უფრო ახლოს დგანან ადგილობრივ ეროვნებათა ხალხთან, მასასთან და უფრო ემსახურებიან მის ინტერესებს, ვიდრე საზოგადო განათლების სასწავლებლები. ამიტომ ამ სასწავლებელში არა ნაკლებ, თუ მეტად არა, საჭიროა ნაციონალიზაციის გატარება. კერძოდ კავშირი შუამდგომლობს, რომ ხსენებულ სასწავლებლებში გაძლიერებულ იქმნას ე. წ. ნაციონალურ საგნების (სამშ. ენის, ლიტერატურის, ისტორია-გეოგრაფიის) სწავლება როგორც საზოგადო განათლების სასწავლებლებში. კავშირის გამგეობამ უკვე გაუგზავნა შესაფერი ქაღალდი საგანგებო კომიტეტს.

ქართველ საზოგადოებისადმი

ტფილისის პოლიტეხნიკუმში სასოფლო-სამეურნეო ნაწილზე შესულ ქართველი ახალგაზრდობა [illegible] არ დარჩეს, რომ [illegible] კურს დამთავრებულ აგრონომებს და რომ სამეურნეო სწავლა მიღებულმა ახალგაზრდამ მოხელის ღილები არ დაიკეროს,—ამიტომ ტფილისის პოლ. ამავე ნაწილის ქართველმა სტუდენტებმა, იქონიეს რა სახეში ახლათ დაარსებული პოლიტეხნიკუმის მოუწყობლობა და ის, თუ რა გაჭირვებას უნდა განიცდიდეს სტუდენტობა ბინის, წიგნების, სურსათისა და სხვა საჭირო საგნების უქონლობით, გადასწყვიტეს ხელთ აიღონ ინიციატივა და დაარსებინათ ტფილისში ქართველ სტუდენტთა სამეურნეო საზოგადოება. საზოგადოება პოლიტიკურ პარტიათა გარეშე სდგას და მიზნათ დასახული აქვს გაუადვილოს თვითეულ წევრს სამეურნეო მეცნიერებისა და, კერძოთ, ჩვენი ქვეყნის მეურნეობის შესწავლა; ხელი შეუწყოს სტუდენტ აგრონომთა სოფელთან დაახლოვებას და გლეხური მეურნეობის შესწავლას. საზოგადოებას აქვს თავისი წესდება, ბეჭედი და ჰყავს 5 კაცისაგან შემდგარი გამგეობა. წევრათ ჩაწერა შეუძლია ყველა ქართველ სტუდენტს, ვისაც მეურნეობა აინტერესებს, და მის მიღებას გამგეობა შესაძლოთ სცნობს. საპატიო წევრობა შეუძლია ყველას, ვინც განსაკუთრებული მოღვაწეობით, ან ნივთიერი დახმარებით დაიმსახურებს საზოგადოების სიყვარულს.

გამგეობამ თავისი მოქმედება უკვე დაიწყო და უახლოეს მიზნათ დაისახა საზოგადოების წევრთა ბინისა და სურსათის საკითხის მოგვარება. ამ მიზნისათვის შუამდგომლობა აღძრა ქალაქის გამგეობასთან, რათა ქალაქმა საზ. წევრთა საერთო საცხოვრებლისა და სასადილოს მოსაწყობათ შესაფერი სახლი დაუთმოს. გამგეობა ჰფიქრობს ამ დღეებში რუსეთში კაცი გაგზავნოს საჭირო საკითხავი და სახელმძღვანელო წიგნებისა და იარაღის გამოსაწერად. განზრახულია საზოგადოების ღონისძიების გასაძლიერებლათ საღამოს გამართვა, სრულის იმედით, რომ გულუხვი ქართველი საზოგადოება უყურადღებოთ არ დასტოვებს ასეთ ნორჩს, მაგრამ დიდ-მნიშვნელოვან საზოგადოებას, გამგეობა მიმართავს ყველას, ვისაც გული შესტკივა ჩვენი სტუდენტობისა და ჩვენი ქვეყნის მეურნეობისათვის ხელი შეუწყოს ამ საზოგადოების გაძლიერებას ყოველგვარის შემოწირულებით: წიგნებით, ბიბლიოთეკა სამკითხველოსათვის, შესაფერი ჟურნალ გაზეთების გამოწერით, საკუთარის თხზულებით, დაუბეჭდავის თუ დაბეჭდილით, ფულით, ნივთებით,—ერთის სიტყვით, ყოველგვარის დახმარებით, რითაც კი შეიძლება საზოგად. სარგებლობა მოვუტანოთ. ყოველგვარი შემოწირულება მიიღება საზოგ. ხაზინადართან ირ. გველესიანთან (მადათოვის ქუჩა № 5). დაწვრილებით ცნობების მიღება—საზ. მდივანთან დავით აგლაძესთან. (ვარდისუბნის ქ. № 30). ფოსტის ადრესი იგივეა.

პატივისცემით საზ. გამგეობა.

ქუთაისის მასწავლებელთა კრების გამო

22 სექტემბერს შესდგა ბათუმში მყოფ ქ. გ. მასწავლებელთა კრება. ამხ. იმნაიშვილმა გააკეთა მოხსენება ქუთაისის გუბერნიის მასწავლებელთა კრების შესახებ. მსჯელობის შემდეგ გამოტანილ იქნა შემდეგი რეზოლუცია: 1) ქუთაისის მასწავლებელთა კრება, სადაც მონაწილეობა არ მიუღია გურიის, სვანეთის, სოხუმის და ბათუმის მასწავლებლებს არ არის კანონიერი და მისი დადგენილებანი არ შეიძლება გახდეს ყველასთვის სავალდებულო; 2) კრების დღის წესრიგი და წესი არჩევნებისა ფართო მასსას მასწავლებლებისა არ გაუგია თავის დროზე, რაც უნდა აიხსნას კავშირის გამგეობის უმოქმედობით; 3) ის გარემოება, რომ ზოგიერთი ამხანაგები კრებაზე გამოცხადდენ უმანდატოთ ან უკანონო მანდატით, ჩვენ მიგვაჩნია მათ დაუდევრობათ; 4) ხოლო იმ მასწავლებლების მოქმედებას, რომელთაც მანდატი ჰქონდათ, მაგრამ მხარი დაუჭირეს განდევნილ მასწავლებლებს და კრება დასტოვეს, ვრაცხთ სამართლიანათ, ვინაიდან კრება ისედაც უკანონო იყო და უმჯობესი იყო მისი დაშლა.

მონდობილობით ბ. მეგრელიძე და
ზ. წულაძე.

ხონის სკოლების გარშემო.

II

(დასასრული).

არ გასულა ორი დღე სამოსწავლო ოლქის კომისარის ამხ. ნათაძის წინადადებით ტფილისის ქალაქის საბჭომ მიიღო ცნობილი ათ წევრიანი სასკოლო კომიტეტის პროექტი და კიდეც განახორციელა იგი. ამის საპასუხოთ ხონის საბჭომაც ხუთ წევრიანი კომისია ათ წევრიან კომიტეტათ აქცია და მაშინვე შეუდგა მოქმედებას. ყველა სასწავლებლებს გაეგზავნა შემდეგი შინაარსის მოწერილობანი: როგორია სასწავლებელში ნაციონალიზაციის საქმე, როგორია სასწავლებლის ნივთიერი მდგომარეობა და რამდენი თავისუფალი ადგილია მასწავლებლებისათვის. ხელათ შეიქმნა ფედერალისტური ჭაობი, მოხდა სინდიკალისტების თათბირი და ფედერალისტთა საჯარო სკოლების მტკიცე უარი სტკიცეს კომიტეტს. რის თვითმართველობა, რის კომიტეტი, არ ვიცით

---

*) ეს ლექსი დაბეჭდილი იყო ამ ექვსი წლის წინათ, მაშინ, როცა კაკი წერეთელი საკატორღო ციხეში იჯდა.

ვინა ბრძანდებით და თავი გაგვაცნებითო. ყველაზე დამახასიათებელი იყო ჯაშუშ აბაშიძის მფარველ პედაგოგიურ საბჭოს თავმჯდომარის ვილაც ბერძენიშვილის პასუხი (ეს ვეჟბატონიც ხაჟომიასებური დირექტორია).

— თუ კომიტეტს უნდა გაიგოსო,—იწყრებოდა უწინ ბერძენოვი, ახლა კი ბერძენიშვილად ქცეული *) გიმნაზიის დრ. გამგე—თფილისის კომისარიატს მიმართოს ამ ამბისთვისო; თუ სკოლის ქონებრივი ბედი გინდათ გაიგოთ აქ მობრძანდით ორიოდე ხმისანა გეტყვითო, ხოლო მაქვს თუ არა მასწავლებლის თავისუფალი ადგილი ეგ თქვენი საქმე არ არისო.

აი ასეთი პასუხი გასცა გიმნაზიამ ქალაქის რევოლიუციონურ თვითმართველობას. დამეთანხმებით, რომ ამაზე მეტი კადნიერება წარმოუდგენელია. ძველად, ნიკოლოზის დროს ყველა სასწავლებელი იმას ცდილობდა, რომ მომადლიერებული ყოლოდა ცენზიანი საბჭოც კი, ქალაქის თვითმართველობასთან კონფლიქტი პირდაპირ უბედურობათ ითვლებოდა, დღეს კი ფედერალისტების ლოცვა კურთხევით ასეთნაირ პასუხს აძლევენ რევოლიუციონურ დემოკრატიის მიერ არჩეულ ორგანიზაციას. ერთი მიბრძანეთ კონტრ-რევოლიუციონერობაა ეს თუ არა?

იმ დღესვე იკრიბებიან გიმნაზიის პედ. საბჭოები და ნაუცბათევად ირჩევენ მასწავლებლებს. გიმნაზიის არჩევნებში მონაწილეობას ღებულობს ჯაშუში აბაშიძე, ხოლო სემინარიაში კი ხელმძღვანელობს პიტირიმის მიმართ ხოტბების მჯღაბნელი ხუცესი ხაჟომია. კომიტეტი ერთხელ კიდევ მიმართავს მათ მონაწილეობა მიიღონ მასწავლებელთა არჩევნებში და რაკი კვლავ ბოიკოტით უპასუხებენ, თითონ ახდენს მასწავლებელთა არჩევნებს და უგზავნის კომისარიატს დასამტკიცებლათ. უკანასკნელმა უარყო პედ. საბჭოს კანდიდატები და დაამტკიცა კომიტეტის მიერ წარდგენილი. ფედერალისტები პირველად თავზარდაცემულნი არიან, მარა მალე იკრებენ ძალღონეს და ცნობილი ბერძენოვის პირით ასე სწერენ კომისარიატის მიერ დამტკიცებულ მასწავლებლებს: თქვენ ჩვენს წრეში არ მიგიღებთ იმიტომ, რომ ზევიდან ხართ ვილაცის მიერ დანიშნულიო.

ბერძენოვი რაც პიროვნებაა ყოფილა, ეს უკვე დაინახა ზემოთ მკითხველმა, ხოლო თუ ამასაც გაბედავდა, ეს კი არც მას ეგონებოდა. ამ ვაჟბატონს ჯაშუშის გვერდით ჯდომა არ ეთაკილება, მას კიდეც იცავს და ხონის დემოკრატიის დიდი უმეტესობის მიერ არჩეულთაგან მოწონებული პირი არ უნდა სიახლოვეს გაიკაროს. ეს კიდევ ცოტაა. სრულიად კავკასიის უმაღლეს რევოლიუციონურ მთავრობას ბიბუნსიაც არ ილებს და ფლინკებს ყარის.

მე ვკითხულობ—კონტრ-რევოლიუციონერობაა ეს თუ არა? განა ოთხი-ხუთი თვის უკან ამას შებედავდენ დემოკრატიას და მისს ორგანოებს? კაცი თავდაცვის დროს ბევრ შეუსაბამობას ჩადის, მარა ასეთი მოუფიქრებელი და უგუნური ნაბიჯების გადადგმა ყოვლად წარმოუდგენელია.

ხონის კონტრ-რევოლიუციონერებმა კარგათ იციან, რომ ხალხი უკვე ღელავს მათი საქციელის გამო, მარა არც ამას აქცევენ ყურადღებას და ცდილობენ მოწაფეებში შეიტანონ თავიანთი გარეწრობა და გაუფუჭონ რევოლიუციონურ დემოკრატიის მიერ არჩეულ მასწავლებლებს. ამ ვაჟბატონებს თავიანთი გამოყენებელი პოლიტიკა სკოლის კედლებშიაც უნდათ შეიტანონ, ლაპარაკობენ ბოიკოტზედაც და სხვა. ერთის სიტყვით გონება ისე აებნათ და ისე გამრაზდენ, რომ არ იციან რა ქნან. იმას კი ვერა ხედავენ, რომ ამას დიდი აურ-ზაური მოყვება ხალხში, საქმეში მშობლებიც ჩაერევიან და ადვილად შეიძლება საზოგადოების ერთი ნაწილი კიდეც შეეტაკოს მეორეს. სასკოლო კომიტეტი კიდეც გრძნობს ამას და ყოველივე ზომები აქვს მიღებული უბედურობის თავიდან ასაცდენათ. ხოლო გონება-დაბნეულნი ფედერალისტები კი ბავშვივით ეთამაშებიან ცეცხლს და პირდაპირ პროვოკაციას აწარმოებენ.

ხონში არსებობს „რევოლიუციის დამცველი კომიტეტი", რომლის ყურადღება არ შეიძლება არ მიაქციოს ამ ფაქტისკენ. ვიმეორებ მდგომარეობა საშიშია, ფედერალისტური პროვოკაცია ფრთაგაშლილია და რაიმე უბედურობის თავიდან ასაცილებლად აქედანვე უნდა იქნას ზომები მიღებული. **ოფდი.**

სოც.-დემ. პარტიაში.

ქ. ოზურგეთი. მოხდა კოლექტივის კრება ოზურგეთის რაიონისა. მოხსენება გურიის ცენ. კომიტეტის დადგენილებების შესახებ გააკეთა ვანო ლლონტმა. ესერების შესახებ დევაზნუის აღმასრულებელ კომიტეტში შემოსულა თხოვნა, რომ კომიტეტში მიღებულ იქნეს ორი პირი ესერებიდან. კრებამ იქონია მსჯელობა ამის შესახებ და დაადგინა: დაუშვას კომიტეტმა ეს პირები, ხოლო განცხადებულ იქნეს ესერების ცენტ. კომიტეტში, რომ ეს პირები, როგორც შენიშნულნი, არ არიან საიმედონი, დანიშნონ უფრო საიმედო პირები. მიწების შესახებ კითხვა უნდა გადაჭრას მიწის კომიტეტმა. გამოირკვა, რომ ახალ ჩამოსულ ჯარისკაცებს ეტყობა უჭირავთ თავი რიგიანად. მიღებული ყოფილა ზომები თვით ჯარისკაცთა მიერ. პარტიულ სასამართლოს შესახებ კრებამ დაადგინა: ვინაიდან ხშირათ რაიონში ხდება ისეთი ამბები, რომლის გამოძიება საჭიროა, ამისთვის დაარსდეს რაიონში სარაიონო საგამომძიებლო კომისია, აგრეთვე სარაიონო პარტიული სასამართლო. საგამომძიებლო კომისიაში ერთხმათ არჩეულ იქნენ: ლ. ჩალეშვილი, სალუქვაძე, ბ. ხილაძე; პარტიულ სასამართლოში: ი. უშვერიძე, ბ. კანდელაკი და ი. ბასილაშვილი.

ბაილეთი (გურია). სექტემბრის 9 ს, მოხდა პარტიული კრება სოფელ ბაილეთში. კრებას წევრები ბლომათ დაესწრენ. პირველათ ილაპარაკა გ. ნ—ძემ ფრაქციულ უთანხმოებაზე და აგრეთვე პარტიულ დისციპლინაზე, ერთმა ამხანაგმა გააკეთა მოხსენება კომიტეტის მუშაობის შესახებ; ილაპარაკა მიმდინარე მომენტზე და პარტიულ ცხოვრებაზე, გამოირკვა, რომ ზოგიერთი პირები კრებას ნაკლებათ ესწრებიან, ამის შესახებ კრებამ დაადგინა: ვინც უმიზეზოთ სამჯელ კრებას დააკლდება, გაძევებულ იქნას პარტიიდან. გაირჩა აგრეთვე სხვა საკითხებიც, როგორიცაა მაგალითად საწევრო ფულის დროზე გადახდა, ახალი წევრების მიღების წესი და სხ. **სიმონ ჯორბენაძე.**

ს. ფამფალეთი (გურია). მოხდა ს.-დ. „იაჩეიკის" კრება, რომელმაც მოისმინა მოხსენება კოლექტივის მუშაობის შესახებ. გამოირკვა, რომ მოსამზადებელი წრე კოლექტივს ვერ მოუწყვია, რადგან ვერ უშოვნია ხელმძღვანელი პროპაგანდისტი. შემდეგ, სხვათა შორის, მსჯელობა იყო ფოსტის გახსნის შესახებ. ფოსტა ტელეგრაფის განყოფილების გახსნა კრებამ სასურველად სცნო, უკეთ შენობის, შეშის და ნავთის მეტს ხარჯს არ მოითხოვს საზოგადოებისაგან, რისთვისაც შესაფერისი განჩენი უნდა გამოიტანოს საზოგადოებამ. შემდეგ მოხდა ახალი წევრების მიღება. **ი. ინ.**

ქ. ერზინჯანში (ოსმალეთი) დაარსდა სოციალ დემოკრატიული მუშ. პარტიის ორგანიზაცია. დღემდის ნება არ იყო ჯარში „იაჩეიკების" დაარსების. ძველი პარტიული მუშები ძალიან სწუხდენ, რადგან მუშაობას მოწყვეტილნი იყვნენ.

დაარსდა ორგანიზაცია, მაგრამ წევრები ვერ იჩენენ საქმიანობას. ამას თავისი მრავალი მიზეზები აქვს, მაგრამ ყველაფერი უნდა დაძლეულ იქნას. საჭიროა მეტი სიფხიზლე. **ჯ.-ქ. ბარცხანელი.**

მუშათა შორის.

თამბაქოს ფაბრიკის მუშათა პროფესიონალური კავშირი.

თამბაქოს ფაბრიკის მუშათა პროფესიონალურ კავშირის გამგეობამ და ყველა ფაბრიკებისაგან ამორჩეულმა დელეგატებმა, განიხილეს რა, რომ თამბაქოს ქარხნის პატრონები არ თანხმდებიან მუშათა მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე, გადაწყვიტეს დასახელებული მოთხოვნილებანი წარადგინონ განსახილველად ცენტრალურ შემარიგებელ კამერაში. ფაბრიკის პატრონებიც დასთანხმდენ კამერაში საქმის გარჩევას. 22 სექტემბერს მოთხოვნილება გადაცემული იქნა კამერაში. მაგრამ ზოგიერთ უპასუხისმგებლო მუშათა დეზორგანიზატორულ და დემაგოგიურ აგიტაციის მეოხებით ნაწილმა შეგნებული მუშებისამ, განსაკუთრებით მუშა ქალებმა, აღარ დაუცადეს კამერის გადაწყვეტილებას, არაფრად ჩააგდეს დელეგატთა და კავშირის გამგეობის გადაწყვეტილება და თავისთავათ გადაწყვიტეს გამოცხადებიათ გაფიცვა. საფაბრიკოს თამბაქოს ქარხნიდან დაიწყეს უწინ გამოსვლა; შემდეგ თანამგრძნობი ჯგუფი „კომეტის" ფაბრიკაშიც იპოვეს, გამოირეკეს მუშები გარეთ და მოიდევენ დანარჩენ ფაბრიკებსაც. მუშები ძალით გამოყავდათ გარეთ და ვინც არ გამოდიოდა, იმას ცემით და უზრდელი სიტყვებით გმუქრებოდენ... როდესაც შეგნებული მუშები მათ არწმუნებდა, რომ საქმე გადაცემულია კამერაში, რომ გაფიცვა უმრავლესობამ უნდა გამოაცხადოს, კავშირმა უნდა მოაწყოს და სხვა, ისინი გაიძახოდენ: ჩვენ კავშირი არა გვწამს, იმას არ ვემორჩილებითო. იყო აგრეთვე შემთხვევა, ამ ჯგუფიდან როცა სცემეს კიდევაც ზოგიერთ შეგნებულ მუშებს, რომლებმაც პროტესტი განაცხადეს მათ ანარქისტულ მოქმედებაზე. ამ ამბების გამო ოთხშაბათს საღამოს მოხდა კრება ყველა ფაბრიკებიდან არჩეულ დელეგატებისა და აგრეთვე პროფესიონალური კავშირის გამგეობისა, ცენტრალურ პროფესიონალურ საბჭოს წარმომადგენლების თანდასწრებით და გამოტანილი იქნა შემდეგი დადგენილება:

აირჩეს კომისია და ამ კომისიას დაევალოს სამშაბათს დილიდან გამოცხადდეს ყველა ფაბრიკებში და აუხსნას მუშებს ასეთი გამოსვლების უარყოფითი მხარეები, დაავალოს იმავე კომისიას მიიღოს ზომები, დაჩქარებით გაირჩეს საქმე კამერაში. ეთხოვოს ცენტრალურ საბჭოს დანიშნოს კომისია, რომელიც გამოიძიებს ზოგიერთ დეზორგანიზატორ ელემენტების მუშაობას და იმ პირებსაც, რომლებმაც ცემა-ტყეპა დაუწყეს მოწინავე მუშებს. კომისიაში არჩეულ იქნენ: ი. ბაღრიძე, ალ. ხულაძე, ერზუკიანცი და ორიც ფაბრიკაში მომუშავე ქალი. კომისიამ თავის მოვალეობა შეასრულა, ყველა ფაბრიკებში მოახდინა კრებები, მუშებმა მუშაობა განაახლეს. ის პირები, რომლებიც დეზორგანიზაციას ახდენენ გამოცხადებული იქნებიან გაზეთებში. **გამგეობა.**

ბათუმი. 10 სექტემბერს შესდგა არტელ „ზვეზდას" წევრთა საერთო კრება. სარევიზიო კომისიის მოხსენება ანგარიშების დამტკიცების შესახებ კრებამ ერთხმად მიიღო. აღმასრულებელ კომიტეტის წევრებათ არჩეულ იქნენ: რაჟდენ მელაძე, ბარნაბ პეტრიაშვილი, ერმილე სულაბერიძე, გიორგი მათითაიშვილი, ალფესი ორაგველიძე, მელქისე გუმბარიძე, სოლომონ ორაგველიძე, ბიქტორ ჯორბენაძე, ისიდორე ხომერიკი, იაგორ დოლიძე, კირილე სულაბერიძე, დიმიტრი ჯანგიძე, მათ კანდიდატებათ: პავლე დოლიძე, კირილე ხოფერია და რაჟდენ დუმბაძე. პროცენტებისაგან შემდგარი თანხის განაწილება მიენდო ახლად არჩეულ კომიტეტს.

დამფუძნებელ კრების ფონდის გასაძლიერებლათ იქნა გადადებული თანხმათ საოლქო კომიტეტის დადგენილებისა ერთი დღის ნამუშევარი. რადგან ძნელი გამოსაკვლევია ჩვენი არტელის ერთი დღის ნამუშევრის რაოდენობა, ამისთვის კრებამ დაადგინა: თითოეულ წევრზე იქნას გადადებული 6 მან. რაც შეადგენს 708 მან. კორესპონდენტის არჩევის უფლება კრებამ მიანდო აღმ. კომიტეტს.

12 სექტემბერს შესდგა არტელის აღმ. კომიტეტის კრება პავლე დოლიძის თავმჯდომარეობით. თავმჯდომარეთ იქნა არჩეული ბიქტორ ჯორბენაძე, კანდიდატათ დიმიტრი ჯანგიძე, მდივნათ—ერმილე სულაბერიძე, მდივნის კანდიდატათ ბარნაბ პეტრიაშვილი, კორესპონდენტათ ერმილე სულაბერიძე. **სიმართლე.**

ს. ხარაგაულში. 1 ოქტომბერს მოხდა რკ. გზის მუშა-მოსამსახურეთა კრება. კრების მიზანი იყო გამოცვლა ძველი რკინის გზის კომიტეტისა და აგრეთვე სასურსათო კომიტეტის; კრება მოხდა არა კომიტეტის თანხმობით, არამედ ხალხის მოთხოვნით. არჩეული იქნა ახალი კომიტეტი. ადგილობრივ რკინის გზის აღმასრულებელ კომიტეტში იქნა არჩეული 15 წევრი, აგრეთვე აირჩიეს ახალი სასურსათო კომიტეტი სანდო პირთაგან. არჩეულ იქნა აგრეთვე ტეხნიკური კომისარი სადგურის წესიერების დასაცველათ. ძველი სასურსათო კომიტეტის მოქმედების გამოსარკვევათ არჩეულ იქნა კომისია 5 კაცისაგან შემდგარი. ძველი კომიტეტის ზოგიერთი პირები დიდი უკმაყოფილონი დარჩნენ, ყველაზე უფრო დეპოს უფროსი, რომელმაც პროტესტი განუცხადა კრებას, რომ ის მას უკანონოდ სცნობს და სხ., მაგრამ კრება კანონიერი გამოდგა. **კალამი.**

რკინის გზაზე

სად. აჯიკაბული. 24 სექტემბერს ბაქოდან მომავალი სახალხო მატარებელი № 7 გაჩერდა თუ არა სადგურზე, გადმოვიდნენ 4 კაცი მგზავრი თათრები და ერთი მათგანი საცველისამარა შევარდა სადგურის უფროსთან და განაცხადა, რომ მას კონდუქტორმა ერთი მანეთის მიუცემლობისთვის გაძარო შარვალი. ადგილობრივ „ოხრანის" საშუალებით მოგვიძებნეთ კონდუქტორი. ის აღმოჩნდა ანდრო პელიძე. როგორც გამოირკვა, მას ეს თათრები წამოუყვანია უბილეთოდ ბაქოდან, გაირიგებიათ რვა მანეთად. თათრებს მიუციათ მხოლოდ შვიდი მანეთი და უთხოვიათ მანეთის პატიება, რადგან მეტი ფული აღარ ჰქონიათ. კონდუქტორი პელიძე ამაზე არ დათანხმებულა და მოუთხოვია დარჩენილი მანეთის აუცილებლად გადახდა, წინაღმდეგ შემთხვევაში შარვალს გახდიო, რაიც კიდეც მოუყვანია სისრულეში. ამ ამბის მოწმე გახლდათ ერთი მგზავრი, რომელსაც დაურიგებია თათრი, რომ ეს განეცხადებინა ერთ რომელიმე სადგურზე. გარჩევის დროს კონდუქტორმა პელიძემ უარი განაცხადა, მაგრამ მატარებელი რომ დაიძრა, მან იგრძნო საქმე ცუდათ წავიდოდა და ფანჯრიდან გადმოაგდო შარვალი. ამის მსგავსი მოვლენა ერთი და ორი არ არის რკინის გზაზე, რასაც საჭიროა ჯეროვანი ყურადღება მიექცეს ვისგანაც ჯერ არს და საზღვარი დაედოს კონდუქტორების მიერ ავაზაკ-ახნილ მოქმედებას. ჩვენ კი, აჯიკაბულის რაიონის რკინის გზის მოსამსახურენი—კონდუქტორები და სხვა დარგის მომუშავენი, ჩვენი გულით-წყრომას და ზიზღს ვუცხადებთ კონდუქტორ პელიძეს, რომლის მოქმედება ჩირქს სცხებს საზოგადოთ რკინის გზის მოსამსახურეებს და კერძოთ კი—კონდუქტორებს.

ამხანაგების მონდობილობით: **ვლადიმერ თოდრია, კონდუქტორი ილია გაგანიძე, უფროსი მეისრე ვლადიმერ ჯუღელი.**

პროვინციის ცხოვრება

სოფ. ხამილაო. დიდი ხანია აქ ხალხი ცდილობდა უმაღლესი პირველ დაწყებითი სკოლის დაარსებას, მაგრამ ძველი რეჟიმის დროს ნებართვას არ აძლევდენ. ხალხი შეუდგა სურვილის განხორციელებას, მაგრამ აქ ჩინა თავი კუთხურმა პატრიოტობამ და ხალხი ორ ბანაკათ გაიყო. ამით საქმე ფერხდება. საჭიროა უარყოფილ იქნას სოფლის კუთხურათ დანაწილება. ამას მოითხოვს თვით საზოგადოების ინტერესები.

წელს აქეთ სიმინდის მოსავალი საერთოთ ნაკლებია. უკანასკნელი დროის ხანგრძლივმა კოკისპირულმა წვიმებმა ძალიან გააფუჭა ის. ეხლა კარგი ამინდები დადგა, მაგრამ პირნახულის მოგროვება მაინც შეუძლებელია. მუშა ხელი ძვირია. თითო ურემი სიმინდის მოტანა ორი ვერსის მანძილზე 16—20 მანეთია. ფუთი ხორბლის წისქვილში მიტანა, დაახლოვებით, ოთხი აბაზია; ამის გამო შეუძლებელი ხალხი და ქვრივ ობლები უკიდურეს მდგომარეობაში არიან. რა ქნან, არ იციან. მოსალოდნელია, პირნახული დაიღუპოს, რაც საერთოთ საზოგადოებისთვის დიდი უბედურება იქნება. ამას ხელს უწყობს საქონლის ჭირიც. ჭირი თითქმის ყველა კუთხეს მოედო. უცრიან, მაგრამ წამლის უქონლობის გამო ვერას გახდენ. საჭიროა გლეხთა კავშირმა და აღმასრულებელმა კომიტეტმა ეხლავე მიიღონ ზომები, რომ პირნახული არ დაიღუპოს; ამისათვის შეძლებისა დაგვარათ უნდა მოეწყოს შეუძლო და ქვრივ ობლებისათვის პირნახულის მოხიდვა, წისქვილში ხორბლის მიტანა საშუალო განსაზღვრულ ხელ-საყრელ ფასებში. **ხალხის შვილი.**

სენაკი. არა მგონია სადმე ისე მოუწესრიგებელი იყოს სურსათის ფასები, როგორც ეს სენაკშია. სხვასთან შედარებით აქ ჯერ კიდევ იშოვება სურსათი და ზოგიერთი სხვა საგნებიც, მაგრამ არა მგონია ეს ასე დარჩეს დიდხანს, ვინაიდან ჩამოდიან სხვა ადგილებიდან ჩარჩები და გააქვთ საქონელი ფარულად. საჭიროა ამ მოვლენას ყურადღება მიაქციოს სასურსათო კომიტეტმა. ზოგიერთი ენებში ამბობენ, თითქოს სასურსათო კომიტეტის ზოგიერთ წევრებს თითონ ჰქონდეთ გადამალული საქონელი ვაჭრობით. თუ ეს ასეა, მაშინ, რა თქმა უნდა, მისი იმედი აღარ უნდა გვქონდეს. ზოგიერთები ბოროტათ სარგებლობენ შექმნის უფლებით. კოოპერატივი თვეში თითო სულზე იძლევა 2 გირვანქა შაქარს ექვს-ექვს შაურათ, ესენ კი 1 მ. 50 კ.—2 მან. ჰყიდიან კერძო პირებზე. საჭიროა ამას ყურადღება მიექცეს. ჩარჩებმა რომ ადგილობრივ სადგურიდან ვერ მოახერხეს დაგროვილი შვიდი ფუთი შაქრის გატანა, სენაკიდან ეტლით ს. ქვალონში წაუღიათ, რომ იქიდან გაეგზავნათ. საჭიროა ასეთს მოვლენას მეტი ყურადღება მიექცეს.

სამიკიტნოებში მაგარი სასმელებით ვაჭრობა გაძლიერდა. ქუჩაში ხშირათ შეხვდებით გალეშილ მოქეიფეებს. **„ზერგი".**

ხაბურამოს რაიონი. 20 სექტემბერს მოხდა გლეხთა საბჭოს წევრთა კრება. კრებას დაესწრო 45 წარმომადგენელი.

გამოიტანეს შემდეგი განაჩენი: ყაჩაღები, რომლებიც ეხლაც გაიძვერებენ თავიანთ საქციელს მათ ასამართლებს საზოგადო შეკრებილი კრება.

ყველამ უნდა ჩამოერთვას, ვისაც კი ზედმეტი პური, ქერი და სიმინდი აქვს პური ფუთი ღირება თუმანი, ქერი 8 მან., სიმინდი 7 მანეთი, ჩამორთმეული სურსათი გადაეცემა კოოპერატივებს გასანაწილებლათ. მეწისქვილეებმა უნდა მიიღონ მინდის მაგივრათ ფული, ფუთზე 25 კაპ. კრებამ სამი კაცისაგან შეთვალყურე კომისია აირჩია, კრებამ ერთხმათ დაადგინა გახსნას სოფ. გალავანში მკერვის შკოლა. კანცელიარიის ხარჯების დასაფარავათ უნდა აკრეფილი იქნეს ძველი მამასახლისის ჯამაგირი კომლზე ორი მანეთი. ევალება გლეხთა საბჭოს ყველა წევრებს თვალყური ადევნონ შავრაზმულ გამოსვლებს და პროვოკაციულ აგიტაციებს ხალხში.

მიწის კომიტეტში აირჩიეს 5 კაცი: ივანე მეღუკაძე, დავით ჩოხელი, ვანო ფანტიაშვილი, გაბო მეზვრიშვილი, თავმჯდომარეთ ტატიშვილი. **№.**

წერილები რედაქციის მიმართ

„ერთობის" № 112 ნომერში ნიგოითიდან წერილი იყო მოთავსებული „მგზავრისა", სადაც ის ეხებოდა საქონლის ჭირის გავრცელებას და მით სოფლის დაზარალებას, ხოლო ჭირის წინაღმდეგ მებრძოლი ექიმის ბ. გ. მახარაშვილის შესახებ კორესპონდენტი სწერდა, თითქოს ექიმის მუშაობა ქრთამზე ყოფილიყო დამყარებული. ვინაიდან ასეთმა წერილმა გამოიწვია ფულის დარიგების შეჩერება დაზარალებულთათვის სიმართლის გამორკვევამდე, მთელი საზოგადოების არჩეულმა კომისიამ (ქვემორე ხელის მომწერლებმა) გამოვიძიეთ დაწვრილებით საქმე და ვერავითარი სიყალბე ბ. გ. მახარაშვილის მიერ ჩადენილი ვერ აღმოვაჩინეთ.

კომისიის წევრები: არტემ ხალვაში, ტიფო ფირცხალაიშვილი, ირაკლი ართმელაძე, თ. მიქაუტაძე, მათე ორმოცაძე, კალისტე ქინქლაძე, ნოვე გოგეშვილი, ივანე ფირცხალაიშვილი და ილარიონ ფირცხალაიშვილი.

ცნობები

ჯარის კაცების შესახებ.

ჯარის კაცი ქართულ მსროლელი პოლკის მე-2 როტიდან [illegible] ქუთაისის [illegible] საზოგადოების [illegible] მცხოვრები გარდაიცვალა 24 მაისს 1917 წ.—სარიყამიში, ქალაქ სოფუხულაზში, დასაფლავებულ იქნა 25 მაისს. ამავე პოლკის მე-8 როტის ჯარის კაცი დიმიტრი ივანეს ძე ჯაში, ქუთაისის გუბერ. ოზურგეთის მაზრის აკეთის საზოგადოების სოფელ ჭანეთის მცხოვრები—გარდაიცვალა 1 მაისს.

ჯარის კაცი ბიქტორ კაპანაძე.

— ჯარის კაცი, რაჟდენ გრიგოლის ძე კვასხვაძე, მსახურებდა 151 ზურგს უკან მყოფ ჯარის საევაკუაციო პუნქტში, არავითარი ცნობა არ არის მის შესახებ აგერ შვიდი თვეა. გთხოვთ ვინც რაიმე მის შესახებ იცის, გვაცნობოთ შემდეგი ადრესით: Въ г Ланчхуты Сельскому комиссару Мелентію Квасхвадзе.

— შორაპნის მაზრის სოფ. ხრეითის მცხოვრები დავით ანტონის ძე არჩუაძე მსახურობდა კავკასიის ჯარში მეხუთე კავკასიის მოსაზღვრე ქვეითა პოლკის მე-10 როტაში, 6 თვეა არაფერი ამბავი არ ვიცით მის შესახებ, ვინც იცის რაიმე გვაცნობოს ამ ადრესით: Кавказская Армія 3 кавказскій пограничный пѣшій полкъ 5 рота Варламу Девидзе.

— ჯარის კაცი ნიკო ხურომშვილი, რომელიც იმყოფებოდა მე-117 სათადარიგო პოლკის მეორე როტაში მსახურობდა კავკასიის მეორე სანიტარიო საღმაშენებლო დრუჟინაში. თუ ვინმემ იცის რაიმე მის შესახებ ვთხოვთ გვაცნობოს შემდეგი ადრესით: Александрополь, мѣстная команда почтов ящ. № 50—Раждену Петровичу Адуашвили.

ერევნის ორგანიზაცია

რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიისა იმყოფება. ასტაფიევის ქუჩა № 31. ღიაა 10—12 საათამდე დღით და 6—8 საათამდე საღამოთ.

ბიურო

მეოთხე რაიონულ კოლექტივის რ. ს. დ. მ. პ. მოთავსებულია მე 6 სავ ქო გიმნაზიაში (უდილონის ქ. № 3) აქ შეიძლება გამოწერა გაზეთებისა: „ერთობა", „ბორბა" და „ფაიქარი". იყიდება სხვა და სხვა ბროშიურები. ბიურო ღიაა ყოველ-დღე: 4-დან 8 ს-დე.

ექიმი
დ. ი. ქორდანია
იღებს ავათმყოფებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფობით, სპეციალურად ქრონიკული მალიარია და ქრონიკული ტრიპერი. საღამოს 5—6 საათამდე გარდა სამშაბათისა. გორის ქუჩა № 6 (დიდუბე)

ექიმი გ. მ. მეხაძე
იღებს სალოსტაქრო ავათმყოფებს საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; [illegible] სახ. შენობის პირდაპირ, სახ. ხვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77

ექიმის თანაშემწე
ვანო საათაშვილი
ღებულობს ავათმყოფებს საღ. 4—6 ს. მდე.—ვენერიულ-სნეულთა წამლობა, კანქვეშ წამლის შეშხაპუნება. სისხლის ნაკლებით, ნერვებით აშლილთ, სიფილისიანთ, ციებიანებს და სხ. ელექტრიზაციით წამლობა, მასსაჟი, ყვავილის აცრა და სხ.
მისამართი: ფასანაურის შესახ. № 3, (1-ლი სამილიციო ნაწილი). (24—10)

ექიმი კ. ი. გვარჯალაძე
შინაგან და ბავშვთა სნეულებათა
ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 5—6 ს., კვირა დღის გარდა.
ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო [illegible] გვერდით. ტელეფ. 15—00.

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავათმყოფთ ყოველ დღე კვირას გარდა, საღ. 5—7 საათამდის. გუნიბის ქ. № 41.

ცნ. ხელის მომწერთა საყურადღებოთ

1 ოქტომბრიდან პარტიულ გაზეთებზე ხელის მოწერა („ერთობა", „ბორბა" და „პაიქარი") მიიღება რ. ს.-დ. მ. პარტიის თფილისის ორგანიზაციის ყველა რაიონულ ბიუროებში.

ბიუროები მოთავსებულია: 1) პირველი რაიონი: ნაძალადევში, ბოტეს სახლში, ღიაა დილის 10—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.
2) მეორე რაიონი: სახალხო სახლი, ღიაა დილის 10—2 საათამდე და საღამოს 5—8 საათ.
3) მესამე რაიონი: (ავლაბარი, ორთაჭალა, ნავთლუღი) ავლაბრის კლუბში, (კახეთის ქუჩა № 1), ღიაა დილ. 9—2 ს., საღ. 5—9 საათ. ტელეფონი № 5—98.
4) მეოთხე რაიონი: ვაჟთა მეექვსე გიმნაზია, უდილის ქუჩა № 3. ღიაა საღამოს 5—8 საათამდე.
5) მეხუთე რაიონი: ნავთლუღი კახეთის რკ. გზის სადგურთან.
6) მეექვსე რაიონის ბიურო მოთავსებულია თათრის მოედანზე სავაჭროსამეურნეო ინსპექციის კანტორაში. ღიაა 6—9 საათამდე.
და მეცხრე სასურსათო კომიტეტში, რეუტოვის ქ. 31, აზნ ლაზარევთან, 9 2 დ 5-7 ს.

იმ ხელის მომწერთ, რომელთაც წლის ხელის მოსაწერი ფასი მხოლოდ 15 მანეთი ჰქონდათ შემოტანილი და დამატებითი ფასი არ შემოუტანიათ 1 ოქტომბრიდან გაზეთის გზავნა უწყდებათ.

---

*) ნაციონალიზაცია გვარისა. **ავტ.**

სწრაფად-მბეჭდავი სტამბა რუხაძისა გაზაფხულის შესახვევი № 1.